- ართიშა მუსუ ქიმიზექი,  
უკული ოკო ვენარღე
15. შხვაშა თოლი ნემ გინჯანცგ,  
რეუნცუნ(ი) თინა დებაღე!..  
ვაგმოთერე სქან(ი) აზრიდა,  
ბოლოს ძალამც დენარღე;  
ანწ(ი) ცირეფიში ეკოუქნათ
20. ნანდულო დუც გებახე...  
რთხიინქ, სქანდუღშო ქორდე  
დო ძღაბებც ვემეკებანძღე!..  
თეშ(ი) უკული გინარტქე.  
ბედინერო ქორდათენი,
25. თი თქვან ჯგერი ფანიაში  
სახელი ვემიოცოთათენი,  
ყმაყოფილო, გიმუანო  
ცხოვრებასკ ქორდათენი!

ერთხელ რასაც ჩაიდენ,  
მერე არ უნდა ინანო,  
სხვისაზე თვალი ნუ გიჭირავს,  
რაც გყავს ის იკმარე!...  
აზრი თუ არ შეიცვალე,  
ბოლოს ძალიან ინანებ;  
აწ გოგოების აყოლით,  
ნამდვილად თავს შეირცხვენ...  
გთხოვთ თავისთავად იყო,  
და გოგოებს არ აეკიდო!...  
ამის მერე გინატრი,  
ბედნიერათ რომ იყოთ  
იმ თქვენი კარგი ოჯახის  
სახელი არ დაკარგოთ,  
კმაყოფილად, სიტკბოებით,  
ცხოვრებაში რომ იყოთ!

72. თუთეფიში ლერსი

ღმისი თხეიზა

- მესი არძა თუთეფიშე  
გეშნავორა ირო ორდგ,  
შხვა თუთასკ მი შინანდგ,  
მესიში მანგი ვარა სორდგ?
5. ინა ირო ცქვაფილი რდგ,  
ირო ვარდიშორო პონდგ;  
დროქე მუღგა წართასენი,  
იშენ(ი) უჯგუ შხვა თუთასკ,  
თიშა ნამთინ(ი) ქიფსუხუნედა,
10. შური გეშაბლაფუდასკ...  
მესიში თუთას შხვა თუთეფი,  
მოინალე აფუდასკ!  
მარა, ვორწყყე, სამართალი  
სოფელც ოკო ვაძღდასკ.
15. მარა კვირკვე რაგადანც —  
„აკა ვა რე ჩქიმი ტოლი,  
იანარ(ი) დო ქირსეთუთას  
მითინც ვაგანჯინე თოლი,  
შხვა თუთეფი ჩქიმი კარც
20. არძა ორე მეკ-მოკონი;  
მა მიქ კვირკვე გიმოდუნი,

მაისი ყველა თვეებს შორის  
რჩეული მუღამ იყო,  
სხვა თვეებს ვინ ასხენებდა,  
მაისის ტოლი ან სად იყო?  
მუღამ ვარდივით ჰყვაროდა,  
ის მუღამ ნაქები იყო;  
დრო რაზომამდეც წახდეს,  
მაინც სჯობია სხვა თვეს,  
მასზე სხვა თუ ვირჩიო,  
(წამსვე) სული ამომხდეს...  
მაისის თვეს სხვა თვეები  
მსახურად უნდა ჰყავდეს!  
მაგრამ ვხედავ, სამართალი  
სოფლად ნამდვილად არ ძეგს!...

მაგრამ ივლისი ამბობს —  
„არვინ არაა ჩემი ტოლი,  
იანვარ-დეკემბერში  
ვერავინ გაახელს თვალს,  
სხვა თვეები ჩემს კვალობაზე  
ყველაა ნაყარ-ნუყარი;  
მე ივლისი ვინც შემარქვა

იში ჭირქე ქემალოლგ!.. მისი ჭირი შემეყაროს!...

(სხვა თვეების ჩივილი)

- „ათე კვირვეში მოქმენდობა —  
არძა თუთეფც მოცილგნა,  
25. ითამ დუდი მოწონცდლო,  
მითინც ვამომორჩილგნა.  
კვირკვეშ(ი) თუთა უწესო  
რე  
ორკოც ტყურათ მოპირგნა,  
იანარ(ი) დო ჭირსეთუთა  
30. გორგნა დო ქოძირგნა,  
თოლი ქემაკინდესგდა,  
მუჟო შქასგ გონქილგნა.  
კვირკვეში ბორია გეიოლგნი,  
ქიანას ქათიყუნუვანც,  
35. ოსქელადრეს მოსპუნცუ დო  
მოსმით ქედგოხუნუვანც,  
გინუვლა დროს! მუში  
სიკვარჩხე  
ირო ქიგოუხუნუვაფ(უ)...  
არგუსოს წყენებ(უ) მარა,  
40. იშენ(ი) ვა გუჟკვირუაფუ  
ნაზარალე მოუთხუუ,  
სუდი ქედუვგუნუვაფუ.  
ნაზარალე ერკებულო  
კვირკვეს ქედუვკვანუვაფუ  
45. არგუსოს კვირკვეშ(ი) კასაშა  
მუთა ინუვგვილუაფუ.
- „ამ ივლისის საქციელი  
ყველა თვეთა მავნეა,  
ვითომც თავი მოსწონს და,  
არავის გვემორჩილება.  
ივლისის თვე უწესოა,  
ყველას ტყუილად გვპირდება,  
იანვარი და დეკემბერი  
ეძებენ და იპოვნიან,  
თვალი თუ შეავლეს,  
შუაზე გაქელავენ.  
ივლისის ქარი რომ დაიქროლებს,  
ქვეყანას გათელავს,  
სარჩოს მოსპობს და  
ცარიელზე დაგვამს,  
თვით ბოლოს მაინც დააჩნევს
- მის უკუღმართ ნახელავს...  
ავვისტო განაწყენებულა,  
მაგრამ არ შეიმჩნია,  
ნაზარალევი მოუთხოვია,  
სასამართლო მოიწვია.  
ნაზარალევი გამოთვლილად  
ივლისს წარუდგენია,  
ავვისტოს ივლისის „კასაში“,  
ვერაფერი ვერ უპოვნია.

73. ნადირუა

ნადიროგა

- ართ(ი) ოჭმარეს გინიბლი დო  
მოკოდ ტურა პილიკონი,  
თიმ(ი) ოჭმარეს ჩქიმი ულა  
მითინც ვა ვორჩქინიკონი.  
5. ტურაში ბედიში მაჟუალი  
თი მინუტის ქემიბგონი,  
შურდგემილო ოფჭოფი დო  
ერთ დილას გადმოვედი და  
მინდოდა ტურა მომეკლა,  
ისე რომ ჩემი წასვლა  
არავის არ სცოდნოდა.  
ტურის ბედის დამწველი რამ:  
იმ წუთში გამოვიგონე,  
ცოცხლად დავიჭირე და

1 ვასელის დროს.

- ჩქიმ(ი) სუღეშა ქემიპონი.  
ათე ტურა ფერი ჰჰოფი
10. გვალო ჯვეში — კაკურაზი.  
მაჯინეფიში ნარდ(ი) ვორექ,  
ბიტუში დო ბადურაში,  
უნჩაშეფი თინეფი რდგ,  
გოხოლგდი მა უკლავი.
15. ოჯინუეშა მიდეფიშითე  
ჯაიანეფიში ფერდიშა,  
თოფეფი ჯგერი მილუდეს,  
ხე მემთხედეს კეტიშა;  
ტურა დლას ვამტებუნა
20. ხვალე ართიში მეტიშა...  
თეში გარდა მიდგედ ხუნჯი,  
ტურას ქაშალაფუ კუჩხი,  
თეს ტურას ქობლოლანდინი,  
ღუმა-ქომიღუღუ ხუჯი,
25. ტყებ(ი) მონკავშირც  
ქიმეპიდი,  
ფარა ჯიბეშა ქალებგუჯი...  
ეცუნელო ირო მიცორდ  
ტურეფიში თხოზინი,  
ქოთი ჩქიმი კოჩანასე
30. სუმოში ვითი დობილი;  
მარა ასე, ორჩენელც  
ჰე ონჯლორე ქობძირი!:  
ტურაქ ჯაჰვამო მენტგ დო  
უკვალეთე მემდინგ!..
35. ამხანაგეფ(ი), ჯაჰვამ(ი) ტურა  
ემებუ მითინქ ძირითგდა  
სოთინ(ი) ტყა დო  
კაკლარონცე  
ეგებ აშაყვილითგდა;  
ტყებიქ ბედნერქ<sup>2</sup> გაყიისე,  
ჯაჰვი ვა დომფუღილთგდა,  
ეში ვარიას ვა თქუანთე

- ჩემს სახლში მოვიყვანე.  
იმფერი ტურა დავიჭირე,  
მთლად ძველი — „კაკურაზი“,  
„მაჯინების“<sup>3</sup> გაზრდილი ვარ,  
ბიტუსა და ბადურასი,  
უფროსები ისინი იყვნენ,  
უმცროსი მხოლოდ მე ვახლდი.  
სადარაჯოზე წავიდოდით  
ჯაიანების ფერდობზე,  
თოფები კარგი გექონდა,  
ხელი გვეკიდა ჯოხზე;  
ტურა მისდღეში არ გაგვეტყვიო  
გარდა ერთი შემთხვევისა  
ამის გარდა მედგა ხუნდი,  
ტურას ჩავარდნოდა ფეხი,  
ამას ტურას რომ ვუზამდი,  
მხარმა მიმოწმა წუხელის.  
ტყავი მონკავშირს მივყიდე,  
ფული ჩავიბღუჯე ჯიბეში...  
თანდაყოლილი მქონდა  
ტურებზე ნადირობის ტრფობა,  
კიდევაც ჩემს კაცობაში  
სამასი ათი მოვკალი;  
მაგრამ ამ სიბერის დროს  
ცოტა სირცხვილი დამემართა;  
ტურა ჯაჰვითურთ გამექცა,  
და უკვალოდ დამეკარგა!..  
ამხანაგებო, ჯაჰვიანი ტურა  
ეგებ ვინმემ დაინახეთ,  
სადმე ტყეში და ეკლნარში  
ეგებ (მოიგდეთ) ჩაჰკალით;  
ტყავი კეთილად შეგერგოთ,  
ჯაჰვს თუ არ დამიმალათ,  
ამაზე უარს არ იტყვიო,

1 ენახე.  
2 ბედნიერად შეგერგოთ.  
3 მაჯინი — ნადირის მოღარაჯე.



ვა მაფუთუ გურიოთდა!...

- ახავაი ჩქიმი ტურა,  
მა მენტინი ორე თენა,  
45. სი იშენთ(ი) დორცვილენა,  
ანდრი, მახაზი დო ერა;  
თოფი ხეს უკებუნა,  
საროტეფცუ გინორენა...  
ი — ართიქ მენტე, მარა  
50. უკული ხოლო ქიბკინდე;  
ტურაშ(ი) ტერი ქუვორექ,  
ჩქიმი ამბე ქიკითხე.  
თიცალი გიქიმიინგდას  
სი სოურე მიკირთე;  
55. ეზმა ტურა ვა გაყვილე,  
მუდგა თოფი იყიდე...

74. ბაღნაგოფი ოხვამალი

- ცხოვრებას მართალი რდა,  
გიცორდას კუნთხუ სქანი,  
სქან(ი) ქიანა<sup>1</sup> საქორთუო,  
გურიში ოხუტოლაფარი.  
5. გორჩქინდიდა, მირდე იკო,  
საქიანო გერძე, ვალი;  
ჯვეშეფც<sup>2</sup> ლეკური უკებუდუ  
ტერიში დუდიში ოკვათალი;  
ლეკურიში საგამათგ  
10. მუთუნ(ი) ვარე რჩქინაცალი.  
ასე თეს ქეშეცადი,  
ზიტყვა ქოთქუე მართალი,  
იყუაფუქ კოჩურ-კოჩი,  
ჯინჯიერი სქანი გვარი;  
15. საწმოხონოთ ქედოსქედგ,  
ოშინეთ სახელ(ი) სქანი.

დამდურებული თუ არ

ახ, ვაი ჩემო ტურა,  
ცხადია რომ გამეპარე.  
შენ მაინც მოჰკლავენ,  
ანდრი, მალხაზ და ერა;  
თოფი ხელში უჭირავთ,  
გადასასვლელზე დგანან...  
ის ერთი გამექცა, მაგრამ  
მის შემდეგაც შევიპყრე;  
ტურის მტერი კი ვარ,  
ჩემი ამბავი რომ იკითხო.  
ისე გარჯილიყო,  
შენ სადაც კი წახვიდე,  
ამდენ ტურას ვერ მოკლავ,  
რა სახის თოფიც რომ იყიდო...

ყავაფილის დასალოცი

ცხოვრებაში წრფელი იყავ,  
გიყვარდეს კუთხე შენი, —  
სამშობლო — საქართველო,  
გულში ჩასახუტებელი.  
რაკი გაჩნდი, გაიზარდე,  
საქვეყნოდ გადევს ვალი;  
მტრის თავის მოსაკვეთი  
წინაპრებს ეჭირათ ხმალი;  
ხმლის სამაგიეროდ,  
არ არის რა ცოდნის დარი.  
ახლა ამას შეეცადე,  
სიტყვა წარმოთქვა მართალი,  
(შენ) იქნები კაცურ-კაცი,  
ძირმაგარი შენი გვარი,  
სამერმისოდ კი ღარჩება,  
სახელი მოსაგონარი.

1 შენი ქვეყანა.  
2 ძველებს.



ბოში

ბიჭი

- დღე ჩქენ(ი) საქმეჲ გინაჩას  
 თაქიან საზოგადოებას,  
 დუდო მადლოსანეფცე დო  
 თეწკმა თაქიან ცირობას;  
 5. თქვა მიგანდენტ თე საქმეს  
 დო თქვან(ი) პატიოსანებას...

ჩვენი საქმე გადაეცეს  
 აქაურ საზოგადოებას,  
 თავად მანდილოსნებს და  
 ასევე ქალიშვილებს;  
 თქვენ მიგანდობთ ამ საქმეს  
 და თქვენს პატიოსნებას...

ძღაბი

გოგო

- მართალი რე, თე ბოშიქ  
 ღართი დემოკვათაფუუ,  
 რადგანც სუმარო მორთენი,  
 10. ვარიაქ ვა მარაგადუუ...  
 უკულ(ი) თეშ(ი) ქემწომტუუ,  
 დუდი ქაშმოჭყოლიდუუ,  
 გვალო სარკო მუკომიციოთ  
 ჩხვინდშა ქვარა მუმანჭუუ...

— მართალია, ამ ბიჭმა  
 ჩოხა გამომაჭრევეინა,  
 უარი ვერ ვუთხარი,  
 რადგანაც სტუმრად მოვიდა...  
 მერე ისე მიმატოვა,  
 თავი ჩემი დამავიწყა,  
 საარაკო დამმართა  
 ცხვირამდე მუცელი მწვდება...

ბოში

ბიჭი

15. — უფალ(ი) პატენი  
 „სუდიეფი“  
 საქმეჲ მათ(ი) ვადმაფულას,  
 ანწ(ი) იროკოჩი ქიმეხვად,  
 ძღაბი რაგადანც ტყურას.  
 თე ძღაბის მით ქიჩინენც,  
 20. ქემიციოთანც პალურიშა,  
 სერით ენა ვა ჯერდგდ  
 ჟარნეჩიში ნარკულიშა,  
 ეცალი მა ვამოსქვანც დო  
 მეუკუნით მუშ(ი) მაგურიშა!...

უფალნო, ბატონო „სუდიეფო“,  
 საქმე მეც არ დამემალოს,  
 აწი ყველანი მიხვდება,  
 გოგო ტყუილს რომ ამბობს.  
 ამ გოგოს ვინც იცნობს,  
 პანდურზე მოიგდება,  
 დამეში ეს არ სჯერდებოდა  
 ორმოცზე ნაკლებ ბიჭს,  
 ასეთი მე არ შემშვენის და  
 მიგუგდე მის მაგვარს!...

ძღაბი

გოგო

25. — რუსიში კანონც ენა ვა რე,  
 უპილანე ფთქუათენი,

რუსის კანონში არაა,  
 ურიგო რომ გამოვთქვათ,

ვანთა! მეფეში კანონი რე,—  
ლორონც დოურცხუაფუნი,  
ჯას დიხაშა ეურთუმუ,  
30. ბინეხ(ი) მეურგუაფუნი<sup>2</sup>.

ვანტანგ მეფის კანონშია, —  
ღმერთს რაც დაუწესებია;  
ხე მიწაზე ამოსულა,  
ზედ ვენახი აუშვია.

ბოში

ბიჭი

— ელსამეთშა ვართი იბში,  
შურქუ ვამიჩხონდგკონი,  
  
მა თიში მაჯინი<sup>3</sup> ვორდი  
სი ჩქიმოთი ვორთიკონი.  
35. „იდი სუდა, პაიდი ტუდა“,  
ჩქიმ(ი) იმენდო ვაღოსქელა!..

იერუსალიმს არ წავიდოდი,  
სულისცხონება რომ არ  
მდომებოდა,  
  
მე იმის ცდაში ვიყავი,  
ჩემად რომ ქვეულოყავი,  
მოდი აქით, წადი იქით,  
ნუ დარჩები ჩემს იმედით!...

76. ლეზარდი

ლეზარდი

დიდხანი რე ვოცადექ  
ლებარდეში ულას,  
მარა ცხენქ ვამაშუუ,  
ჩქიმ დუდქ ვადომღურას<sup>4</sup>  
5. არა ცხენეფც თექ ვალინე,  
ჭკოლა, კვიცი, ურას;  
ვარა ძღმც ვოცადექ  
ვაგაღორე ტყურას.  
სოთინ(ი) ვა წურაფულენა  
10. ჰავასაა ათეჯგუს,  
წანაშო მათ(ი) მიდუულუ,  
მაშნა მიდომსუნანც...  
ტანსენთელე შებუდას  
თეცაღეფიში მოხანდეს,  
15. შარას მიაკეთენც დო  
მადირსენა ლეზარდეს!  
ყუდეს მითინქ ვა დოსქელ, —  
კოჩი, ბაღანა, ოსური  
თეცალი ჯგერი ქორდელა,

დიდი ხანია ვცდილობ  
ლებარდეში წასვლას,  
მაგრამ ცხენი ვერ ვიშოვე,  
გეფიცებით ჩემს თავს!  
ყველა ცხენი იქ ვერ წავა,  
მჭლე, კვიცი და ურა,  
თორემ ძალიან ვცდილობ  
არ ვამბობ მაცდურდ.  
არსად არ უთითებენ  
ჰაერს ამისთანას.  
გაისად მეც წავალ  
გავყვები მანქანას.  
ტანს სიმთელე მისცემოდეს  
ასეთისთვის მოჯაფეს,  
გზას გაიყვანს და  
გვადირსებს ლეზარდეს!  
სახლში არავინ დარჩა  
ქალი, კაცი და ბავშვი  
ასეთი კარგი თუ იყო,

1 აქ ლაზარაკია ვანტანგ VI კანონებზე.  
2 მიურგავს და აუყოლებია.  
3 მაჯინი — გუშავი მონადირე.  
4 ჩემი თავი არ მომიკვდეს.

20. აიშახ სო დობსქედით?  
ლებარდესი ანდოგანი  
მის შეულებუ ეჭარას,  
ფერ(ი) ლახალა მუ ისუაფუ  
ათექე ვამეხვარას?

25. მიდგართე და დოსქედგქ,  
ვამორთხინა ფარას<sup>1</sup>.  
ირკოჩ მონდომებული რე  
დო აკეთენა შარას...

30. ცხენ(ი) ვეყუაფუ საჭირო,  
მათ მიდუულუ წანას.  
არძა მუშა-მოხანდექ  
ოკო გეგმიგვანასგ<sup>2</sup>  
ვარა მუ აწუვდგართე  
თეზმა კოჩიში ძალას?

35. შხვა რაიონეფიშ(ი) უმოსო  
ზუგიდ(ი) მონდომებული  
რე;

რადიო დო ელექტრონი  
არძა გაჩაღებული რე,  
საქორთუო ზეიმცგრე

40. ქოთი გახარებული რე.

მანამდე სად დავრჩით?  
ლებარდეს კიდევანი  
ვის ძალუძს აღწეროს,  
ფათერაკი რა იქნება,  
რომ მან ვერ უშველოს?  
თუ წახვედი, მორჩები,  
ქირას არავინ მოგთხოვს...  
ყველა მონდომებულია  
და აკეთებენ შარას...

ცხენი არ დაგვჭირდება  
გაისად მეც წავალ.  
ყველა მუშა და მშრომელი  
უნდა გამოკეთდეს,  
ანდა რა გაუძლებს  
ამდენი კაცის ძალას?  
სხვა რაიონებზე უფრო  
ზუგიდილი მონდომებულია,

რადიო და ელექტრონი  
ყველა გაჩაღებულია,  
სააქართველო ზეიმობს,  
კიდევაც გახარებულია.

77. სამარგალოში ლაკადა.

სამეგრელოს გორაკიანი მხარე

ვოკვირქე ქიანასგნი,  
ლორონთიშე გორჩქინელც,  
ბრელ თოლ(ი) მოკო  
მიდუდას,

რომ ვაკვირდები ქვეყანას,  
ღვთისაგან გაჩენილს,  
ბევრი თვალი მინდა მქონდეს,

უჯინექენი ოშინერც;  
5. თოლოწონგში ოჯინეს,  
გვალა დო რზენ(ი)  
ხანტურელც;

რომ ვუყურებ მრავალგვარს,  
ჭრელ-ჭრულებს ათასგვარს,  
გადახატულ მთა და ბარს,

ვორწყექე კვრდე ტახილფც,  
დემიში ფოთქევა-ომანეს,  
ქიანაში გორჩქინაშე

თვალსაწიერ სახედზე,  
ვხედავ ციცაბო კლდეებს,  
ქვეყნის დასაბამიდან  
ბინა ჰქონიათ აქ მგლებს,  
უწმინდურ სულდგმულს,

10. ბინა ნოღვე თაქ ნგერეფც,  
უწინდური შურიდგმა —

1 ფულს არავინ მოგთხოვს.  
2 უნდა გასუქდეს.

ოჩოკოჩიფც — ტყაში  
დემეფც...

- შხვაგანიშე უჯინენი,  
ვორწყეჟ ახრა-ჩეგემეფც,  
15. სადღემუშოთ გოცინილი,  
ჯიშითი გოსარანჯელეფც.  
თუნთ(ი) ირემი დო ძიხვის,  
მატურინე ერცქემეფც,  
არწივი, ორბი დო ყორანც,  
20. მახურთქინე ქოთომეფც...  
მიხვარჩალ წყურგილეფი,  
მეფუნცუდო მიტყვარცალ,  
გვალაში წვანც მუკობორცქ,  
დომერაშა მიცხვანტალ.  
25. გვალას თოლც აღანქენი,  
დობერას უჯინეჟქ,  
მუს ვორწყეჟ, მუ სარკოს,  
ვარა მუს რე, ურჩქილეჟ!  
მაფშალია აშელურჭულ,  
30. გოფუშქუტელ(ი)  
მინდორეფც.

„ოჩოკოჩიფც“ — ტყის

სხვა მხარეზე რომ გაიხედო,  
ვხედავ ციცაბოს, უფსკრულებს,  
სამუდამოდ გაყინულს  
„ჯიშითი“<sup>1</sup> შემოსალტულებს,  
დათვს, ირემს და ჯიხვს  
მროკავ არჩევებს,  
არწივი-ორბი და ყორნებს,  
„მახურთქინე“<sup>2</sup>, ხობებს...  
მიხხრიალებს წყაროები.  
მოდულს და მოჩანჩახებს,  
მთის წვერიდან მონასხლეტი  
დავაკებაზე ეშურება.  
მთას თვალს რომ მოაშორებ,  
გაცქერი მინდორ-ველს,  
რას ვხედავ, რა საარაკოს.  
ან რასაა, რომ ვუსმენ!  
ბულბული დაჭიკჭიკობს.  
გაფურჩქენილ მინდვრებში

78. სპვირფიში ბაზირება

შვლემის ბასაზირი

ქოიჩქენანო ამხანაგეფი,  
ჭურთიას სქვერეფც  
მოხვადენი?

- „მაღადეცი“ თიშ(ი) კოჩანას  
თინეფც თეში დოხვადენი!...  
5 თხოზინ(ი) მუთუ უჯგუდუნი,  
ხათე თის გოხვადენი;  
პოლიაქ ტეხნიკა მომართ  
მეხანიკური — ოსტატური,  
სქვერეფი დუცუ ინწყუანდ  
10. კატერ(ი) წყარც ორჩანდენი,  
დღას ვაცუფე კოჩი წყარც  
სქვერც ენაჭოფანდენი;

იცით კი, ამხანაგებო,  
ჭურთიაში შვლებს რაც შეხვდა?

„ყოჩალ“ მის ბიჭობას,  
იმათ, ვინც ისე დაუხვდა!...  
გამოდევნება თუ რით სჯობდა,  
მაშინათვე რომ მიუხვდა;  
პოლიამ<sup>3</sup> ტექნიკა მომართა,  
მექანიკური — ოსტატური;  
შვლები იყვინთებოდნენ,  
კატერი წყალს რომ აპობდა,  
თავის დღეში არ ყოფილა,  
კაცი წყალში შველს იჭერდეს;

1 ჯიშითი (უგურყელი) — მყინვარი.

2 ხურთქინი — ფრთაზე ფრთის შემოკვრით ფრენა.

3 პოლია — მეთევზის, მონადირის სახელია.

- მარა პოლიაქ ქოქიძინ,  
მეზღვაურეფიში ოსქეებური;  
15. კატერი ხოლო თის სუნდუ,  
მის სუნაფა ოსქევანდენი.  
ნტებული სქევარი  
რაგადანც, —  
„კატერი თით ეფჩელითე,  
ირო მჩური ორცათენი,  
20. ანარკია გგზაილი,  
ჟერ(ი) დონჭირა გოფსხაპინი;  
აჯამეთი მიკოილი,  
ჩაქეშა ვორექ მენჭაფილი;  
ჩქიმ(ი) მაძალე ოჩი სქევარი  
25 სქან(ი) ხეშე რე დონთხაფილი;  
ხანით ვორექ სუმ წანერი  
ხორცით ვორექ გოფშაფილი.  
ჩქეგვალაშა ვებდითენი,  
დლა ჰყოფუნა მონჭაფილი;  
30 გვალეფც ფოქეფეფი რე, —  
ჩქენ(ი) სადგემუ გოშალირი...  
პოლია, შორშე გონჯარუა,  
მუჟამც ქინგობორჩხანქენი.  
კატერ(ი) წყარშა ინორე,  
35. მანჩურალო მოცაცილი,  
მატორ(ი) ინოზუმინენც  
რემენეფი გორთააფილი,  
ეს რაგადი მუშო ოკო,  
ვორწყეთ ქინმოზორთანთენი.  
40. ჩქიმ(ი) მეტისგ შურ(ი) ვა  
ულკვ,  
ნამთინი ჩქიმი მახანას  
ჭურია დო კახეშ(ი) დუცუ  
მიცხოვრებუნა შხვაფარანც  
გურიაში გვალა გეგონობლი  
დო  
45. ქინგოსხაპი აჭარასკ  
ჩქიმ(ი) კუნთხუს(უ) ვა  
ბღურეკონი,  
თაში ნობღვე ცვაჭარას...

- მაგრამ პოლიამ გააკეთა,  
მეზღვაურებს რაც ამკობდა  
კატერიც იმას ჰყავდა,  
ვისაც მართვა შეშვენოდა  
გაქცეული შველი ამბობს, —  
„კატერი მით ავიცილე,  
ალმაცერად რომ ვიცურავე,  
ანაკლია მოვიტოვე,  
ორ ნახტომზე რომ ვისკუბე;  
აჯამეთს გავსცილდი,  
ჩაქვამდე ვარ მიღწეული;  
ჩემი ტოლი ვაცი შველი  
შენი-ხელითაა დაცემული;  
ხნით სამი წლისა ვარ,  
ხორცითა ვარ გავსილი.  
ჩვენ მთაზე რომ არ წავედათ,  
დღე გვჭონდა მოსწრაფული.  
მთებში გამოქვაბულია,  
ჩვენი სადგომი გაშლილი...  
პოლია, შორიდან გაბრაზებ.  
აქედან რომ დავიცივებ.  
კატერი წყალში გიდგას,  
მოცურავედ შემართული,  
მოტორი დაბზუის  
ღვედებით შემოვლებული.  
ამას რა თქმა უნდა,  
ვხედავთ, რომ წყალში  
ჩაგვლეწავთ.  
ჩემს მეტს სული არ უდგას,  
არავის ჩემ ხნისას,  
ჭურია და კახეს თავზე  
გვიცხოვრია ერთხანს.  
გურიას მთა მოვიტოვე  
და გადავხტი აჭარაში.  
ჩემს მხარეში რომ არ მოგვკვდე,  
ასე მქონია ბედისწერა...



15. სქან(ი) დუდ(ი) გაყუაფ(უ) გგმოჩამილი,  
ვართ(ი) ეკიდვინე შხვაშა ბრალობა.  
ბრელი მოძირგ ბოლოს ონბოლი  
უგუნურობათ მინაჩილეთი, ოშიში მაჭოფალ(ი) ხე  
ცალიორი;
20. ბედიქ აკაშა ხე ავოღდვა, უკულ(ი) გიმტყუნენც არძა იმენდი;  
მარა ცოროფას ძალა მეტ(ი) უღუ, გური სოდერენ(ი), რინა თექი რგ.  
მათის ვონდექ მისეთ ვა უღუ,
25. თოლი მოვარჭვე, გური მექირე.
- თავი გექნება გაყიდული, სხვას ვერ დასდებ რამე ბრალს.  
ბევრი მინახავს ობლად შთენილი, უგუნურობით დიდად შემცდარი, ხელცარიელი ძის მდევარი.  
თუ შენზე ხელს აიღებს ბედი, მერე გიმუხთლებს ყველა იმედი.  
მაგრამ სიყვარულს მეტი აქვს ძალა, ყოფნაც იქაა, გული საცაა.  
მე მას ვენდობი, ვინც არაა, თვალით მოვაჭრე, გულით მუხთალი<sup>1</sup>).

## VII. ბამოცანეზი ღა სენტენციეზი

### გი. ბამოცანეზი

1. ზოსმე დო ბუჩუნას ართიან(ი) ვაკუვიჩქვეშქუნა, გოჭყორდესგნი მიჩქედ დო ამარი ქიმიქვეჩგნა!  
(საქსოვი დაზვა)
2. უშურე ბძირი — უხენო, შურდგემილიში დგმაბადებელი, დიდა ღურუ, სქუსა დოსქედგ, ჰირექ გამმარკვიებელი?  
(კვერცხი)
- ზოსიმე და ბუჩუნას ერთმანეთი მოუჩეჩქვავთ, მეგონა დაიხოცნენ და აგერ მიშარიშურობენ!  
უსულო ვნახე-ორსული, სულიერისა მშობელი,  
დედა მოკვდება, შვილი დარჩება, ვინა ხარ გამომცნობელი?

<sup>1</sup> გულის გამჭირავებელი.



3. სქანიჯგუა მუკაქუნცუ,  
ვართ(ი) ჭკუმუნც დო ვართი  
შუნცუ,  
მუნაფილ დლას ვაძირჯ დო,  
ჩხანაიას გილარუხუნცუ.  
(აჩრდილი) შენსავით აცვია,  
არცა ჭამს და არცა სვამს,  
მზიან დღეს დაგყვება,  
ღრუბლიან დღეს ვერ ნახავ.
4. ხახუნტი ჭითაოსარამი  
(ხახვი) „ხახუნტი“ წითელპერანგა
5. ართიანც ხე კვლარღვაფილი  
ერთმანეთზე ხელი-ხელ  
ჩაკიდებულო  
ეჩლოვითი ჯიმა არაბიში სქუა,  
თენა მურე, მის ათქუენი,  
თინა იყუაფუ თავადიშსქუა.  
(ნაჭა) ოცაათი ძმა არაბის შვილი,  
ეს რაცაა, ვინც იტყვის,  
ის იქნება თავადიშვილი
6. მა მორკვ დო სი გოძინგ,  
მუ ორენი ვართ გოფსინგ,  
თაქ მოფრხინი, თექ ქომქილი,  
სოდე რენი, სი ქოძირი!  
(ნემსი) მე მაკლია და შენ გაბარია,  
თუ რა არის, არც გრძნობ,  
აქ შევმართე, იქ ვდღლიზე,  
თუ სად არის, შენ მონახე!
7. ეჩლოვითი მაჩხვარალი,  
ჭითანახე მაქოსალი  
(ენა და კბილები) ოცდაათი მცებველი  
წითლანაძის ასული დამგველი.
8. სუმი ჯიმა ართო რენა,  
სუმხოლო ნოყორ ფართო  
რენა,  
სი მუსუთი მეჩანქ ვარა  
ინეფ(ი) მუთენც  
ვართხორენა?  
(ბუხარი) სამი ძმანი ერთად არიან,  
სამივე ხახვართო არიან,  
შენ რასაც მისცემ, თორემ  
ისინი არაფერს არ გთხოვენ?
9. ართი ბოჭკაშა  
ეირნერი ღვინი ონომიდგ.  
(კვერცხი) ერთ კასრში  
ორნაირი ღვინო მისხია.
10. ნამუნეფითი მეულანი,  
უცხენეთ დო უჯორეთ,  
ვარა მი რე ოკითხენი —  
რომლებიც მიდიან  
უცხენოდ და უჯოროდ,  
ან ვინ ეკითხება —

მუ ჟამც მორთი,  
მეჭო რეთვ.

თეში მორთი, უნძორეთ?!  
(მკედარი)

როდის მოდი,  
როგორ ხართ,  
სულდგმული ხარ, თუ  
ისე მოხვედი, უმძოროდ?!

11. ოკვირჯენი, აშო მოურცუ,  
ვართი კურცხე რე, ვართი  
ლურცუ,  
ქახვეწვდე, ვამკურცუ,  
(დრო)

რომ აკვირდები, აქეთ მოდის,  
არც ფხიზელია, არც სძინავს  
რომ ეხვეწებოდე არ გამოჩნდება-

12. ოჭმარეს ოთხ კუჩხით  
გილურცუ.  
ონდღეს — ყირი კუჩხით,  
ონჯუას — სუმ კუჩხით.  
(ჩვილი, შუახნისა და ბერიკაცი)

დილას ოთხი ფეხით დადის,  
შუადღეს — ორი ფეხით,  
სადამოს — სამი ფეხით.

13. ხორციში ფოქვაშა  
მელე-მოლე მითილენა,  
ქიანაში ამბეს ქემილანა,  
კენი აშო გგთილენა.  
(ყური და ხმის ტალღები)

ხორცის გამოქვაბულში  
ორთავ. მხრიდან შეეღენ,  
ქვეყნის ამბავს მოიტანენ,  
ისევ აქეთ გამოვლენ.

14. სუმ(ი) ჯიმა ართო,  
მინდიხას ჯგფე,  
მინდიხას ფართო,  
მინდიხას ფხშირი,  
მინდიხას მარცხო.  
(ბუხარი)

სამი ძმა ერთად,  
ზოგან წვრილი,  
ზოგან ფართო,  
ზოგან ხშირი,  
ზოგან მეჩხერი.

15. დუდი ოჭკვამალი დო ტან(ი)  
ორღვაფალი!  
(თავთავიანი მარცვლეული  
მცენარეები).

თავი საჭმელი და ტანი  
გადასაყრელი!

16. ხეშა აშგანტგრე დო  
სუდეშა ვემინტგრე.  
(ჭოკი)

ხელში ჩაგეტევა და,  
სახლში ვერ შეეტევა.

1. კუშ(ი) სქუა კუ იყი, აბა მორო მუ იყი?  
კუს შვილი კუ იქნება, აბა სხვა რა იქნება?
2. ღეჯის ქამენია ჯოგედუვა დო ჩხვინც გეურთუა.  
ღორს ქამინია სძაგდაო და ცხვირზე ამოუვიდაო.
3. მეშარეს კითხესია — „სოლეშე მოურქია?“  
— „სოლე ოჭიში მირთენი თევრე შევა!“  
მგზავრსა ჰკითხესო — „საიდან მოდინხარო?“  
— „საითენაც ზურგი მაქვსო“. უპასუხა მგზავრმა.
4. მისგთი შხვა ვაცოდენი, თვითვან საცოდალი რე.  
ვისაც სხვა არ ეცოდება, თვითონ საცოდავიაო.
5. ყვერე რჩქინელი, თოლგონჯამილი ურჩქინჯის დიდო უჯმუნია.  
ჰკჳიანი ბრმა, თვალხიხულ უმეცარზე ბევრად უკეთესიაო.
6. ურჩქინჯი კოჩი რჩქინელში მოცილე რენია.  
უცოდინარი კაცი, მცოდნეთა ხელშემშლელიაო.
7. ირკოჩიში მოსაწონი მითინც ვაქიმინენია.  
ყველასათვის მოსაწონს ვერავინ ვერ გააკეთებსო.
8. რჩქინელო მითინი ვადაბადებენია.  
ცოდნა მუცილიდან არავის მოჰყვებაო.
9. მაკითხე დუცუ ოღორენც დო სი ხოლო გაღორენცა.  
მკითხავი თავისთავსაც იტყვებს და შენც გატყუებსო.
10. განაჭირ ვა რენ(ი) თი კოც შხვაშ(ი) გაჭირება ოფელუნია.  
ვინც ჭირგამოვილი არაა, სხვის გასაჭირს არაფრად აგდებსო.
11. კოჩი ართინერო იბადებუ დო შხვადოშხვანერო ღურუნია.  
ადამიანები ერთნაირად იბადებიან და სხვადასხვანაირად  
კვდებიანო.
12. კოჩანაში ოზგმალი პატიოსანობა რენია.  
ადამიანური ღირსების საზომი პატიოსნებააო.
13. მუთი შერხვადენი, თის მეუხვადია.  
რაც შეგხვდება, მას უნდა მიუხვდეო.
14. მუმაში ნაშიბუსუ, სქუა ეფას ვაგმოჩანცია.  
მამის მონაპოვარს, შვილი იაფად გაჰყიდისო.
15. ჯგვრიშენი — ჯგვრც ელგდა, უბადოშენი — მანვიორც.  
კარგზე-კარგს მოელოდე, აუგისთვის-სამაგიეროს.
16. ბრელხანიში გარზევა ჯგვრი რე, რჩენა ვარდისენი.  
დიდი ხნის სიცოცხლე კარგია, სიბერე რომ არ ახლდესო.
17. ირკოც მუთ(ი) ჯოგენ(ი) თინა სით ვაიყორდას.  
რაც ყველას სძაგს, შენც არ გიყვარდეს.
18. სქანით ვარჩქინუვდას დო შხვაშა ვადაიჯერებდასია.

- შენი გცოდნოდეს და სხვისი არ დაგეჭვროს.
19. ვეჩინეჩქენ(ი) თი კოც სქან საქმე ვაგაჩინებაფუვავა.  
უცნობ კაცს შენს საქმეს ნუ გააცნობო.
  20. სახესქვაში ცირას, ჭკუასქვაში ცირა ჯოუჯგუ.  
სახით ლამაზ ქალს, ჭკუით ლამაზი სჯობიაო.
  21. ღუღიშ(ი) სისქვამეს მეთხოზენი, თი ოსურეფც ყუღე უსქვამური  
აფუნია,  
თავის გალამაზების მიმდევარ ქალსო, სახლი ულამაზო ექნებაო.
  22. უჭკუვე დო ცანცალა კოც მუში კუჩხი ქემიყუნანცია ჭკუვაშავა.  
უჭკუო და ცეტ კაცს თავის ფეხები მოიყვანს ჭკუაზეო.
  23. უწესოთ რდილი სქუალეფი დიდა დო მუმამი ხანდაში მადინაფალი  
რე.  
უწესოდ გაზრდილი შვილები დედ-მამის შრომისა და ჯაფის  
დამკარგავიაო.
  24. ჯგერ(ი) სქუალეფიში მარღუალეფი დღას ვაღურუნა.  
კარგი შვილების აღმზრდელნი არასდროს მოკვდებიანო.
  25. სქან რჩქინას ფასი მეგდინ, ურჩქინ — დიშორო ქემიქციიდა.  
შენს ცოდნას ფასი დაეკარგება, უცოდინარივით თუ მოიქცევით.
  26. ღვინო ქოთი ოშუმალი რე დო ქოთი სქანი კოჩანაში  
შემამოწმებელი.  
ღვინო კიდევ საკმელია და კიდევაც შენი ადამიანური ღირსების  
შემამოწმებელიაო.
  27. შუაჰმთ ღვინარინეფი კოჩი ვამიძირ დო ნადინეფი — ბრელი.  
სმით დაფუძნებული კაცი არ მინახავს და დაღუბული — ბევრი.
  28. ფარაშა ვაგმიჩა მუთუნი, ფარაშა ვეციდირენ ფერი.  
ფულად არ გაყიდო არაფერი, რაც ფულად ვერ შეისყიდება.
  29. ჯგერი დო ფური გარჩიენი თეს რჩქინა ოკო, ურჩქინჯიშო არძა —  
ართი რე.  
კარგი და ცუდი რომ გაარჩიო, მას ცოდნა სჭირდება, უციცისათვის  
— სულერთია.
  30. უსაქმე კოც უქვი დღას მოურთუა საქვარქ.  
უსაქმურ კაცს უქმე დღეს მოუნდა შრომაო.
  31. უმოსი დგმაშებელი დანაშოულისი მაფორალი კოჩი რე.  
მეტი დამნაშავე დანაშაულის მფარველი კაცია.
  32. ვადინუა ჯვეშ(ი) მოჯგერე, ვადინუა ჯვეში შარა.  
ნუ დაკარგავ ძველს მოყვარეს, ნურც ძველს შარა-გზას.
  33. კოც კოჩანა ვაიღუდა, მუს გიკეთენც ბრელი ფარა?  
რას გიშველის ბევრი ფული, კაცს კაცობა თუ არა გაქვს?
  34. ირკოჩიში ართგური კოჩი, ბორო რე.  
ყველას ერთგული კაცი, ბრიყვია.

35. სხინდიშა ცვანა გიმედუნი თი კოჩი  
დო თიში მალათგრე, ჟირხოლო ბორო რენია.  
სხვენზე ვინც ყანა გამართა, ის კაცი და მისი თანამოაზრე ორივენი  
ბრიყვიანო.
36. ვე თოლამი დო ტყა სუჯამია.  
ველი თვალიანი და ტყე ყურნიანიანო.

## VIII. კოლხეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში

გეოგრაფიული სახელების რიგი წარმოქმნილია ისტორიული და ბუნებრივ-კლიმატურ მოვლენებთან ან კიდევ რელიეფურ მოხაზულობათა, ასევე მცენარეთა სიმრავლისა და სამეურნეო დანიშნულებებთან დაკავშირებით. ხშირია აგრეთვე კუთვნილების მიხედვით წარმოქმნილი სახელებიც. მათ შორის გამოირჩევა ისეთი გეოგრაფიული სახელები, რომელთაც შორეულ წარსულში აქვთ დასაბამი და თანამედროვეთათვის ძნელად გასარკვევია. ასეთ სახელთა მნიშვნელობის ამოსახსნელად აუცილებელია არქეოლოგიური, ზეპირსიტყვიერი მასალებისა და ისტორიული წყაროების მოძიება და შეჯერება.

ჩვენი დიდი მეცნიერი და სწავლული ივანე ჯავახიშვილი ქართველური ტომების ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნების ხალხებთან (ასურები, აქადები, შუმერები, ბერძნები და სხვა) ახლო კულტურული და ნათესაური ურთიერთობის გარკვევისას, ისტორიულ-არქეოლოგიურ მასალებთან ერთად, იყენებდა ზეპირსიტყვიერების მასალებსაც. როგორც ლენინი ამბობდა, „ეს საუკეთესო საშუალებაა ჩვენი წარსულის ცხოვრების შესასწავლად“. და სწორედ ამ საუკეთესო საშუალებათა გამოყენებით ივ. ჯავახიშვილმა ნათელი მოჰფინა შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან ახლო კულტურული ურთიერთობის საკითხს, რომ ქართველური ტომების მონაწილეობით იქმნებოდა ახლოაღმოსავლური კულტურა და სარწმუნოება, რომ მათ მითურ პერიოდში ერთნაირი ღვთაებანი ჰყავდათ — მზე, მთვარე, ვარსკვლავები და სხვა. ჩვენ ამ თემაზე მასალები შევაგროვეთ და გამოვეცით ნარკვევი — „მნათობთა კულტი და მითური პერიოდის ლექს-სიმღერები მეგრულ ხალხურ პოეზიაში“.

ეს ეხებოდა ზეციურ ღვთაებათა და მათი სახელით ცნობილ ერთნაირ გეოგრაფიულ სახელებს ასურეთს, ბაბილონეთსა და კოლხეთში.



აქ გვინდა ნაწილობრივ მაინც მიმოვიხილოთ მითური პერიოდის ზეციურ და მიწიერ ღვთაებათა სახელით ცნობილი გეოგრაფიული სახელები ახალ შეკრებილი მასალების მიხედვით.

წყალ-ღვთაებისა და ხე-ღვთაების კულტივების

ისტორიულ წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურაში წყალ-ღვთაებისა და ხე-ღვთაების შესახებ ცოტა მასალაა ცნობილი.

ლეგენდა „წყარიში დიდაში“ — წყლის დედაზე გაიგივებულია „ტყაშმაფა“ — ტყისმეფე ქალთან, რომელიც წყლის ცხოველებსაც მფარველობდა. ქართულ ზებირსიტყვიერებაში იგი შეესატყვისება სვანურ-ხევსურულ დალს. ბოლო 30 წლის განმავლობაში ენგურის აუზსა და მის მიდამოებში არქეოლოგიური გათხრებისა და ზებირსიტყვიერების კვლევის დროს მოპოვებული რიტუალური ნიმუშები გვაფიქრებინებენ, რომ ყოფილ ეგრისის მთელ ტერიტორიაზე, სხვა ღვთაებათა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი სჭერია წყალ-ღვთაება „ერგეს“. ეს სახელი შეიძლება უკავშირდებოდეს მდინარე ენგურის სახელს.

ზებირსიტყვიერების ნიმუშები და ტოპონიმიკური სახელები სალოცავები, ლოცვის მიზანი და რიტუალები მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი არ უნდა იყოს, მათაც თავის საფუძველი შეიძლება მოენახოს.

ენგურის ხეობაში მდებარეობს ლამაზი ადგილი, რომელსაც „ტყაბედნერც“ — ტყებედნიერი (ბედნიერი ტყე) ქვია.

მთელს ამ ტერიტორიაზე ხეთა ღრუებში ვხვდებით კოლხური ფუტკრის თაფლით სავსე ფიჭებს. მეგონა რუხაიას ნაამბობით, დიდ-დიდი ხეების ქვეშ გადმოღვრილ თაფლს ნახავთ, რასაც მეგრულად „გოსარანჯელი“ — გაგლესილი ეწოდება. ტყაბედნერლები ასეთ ხის ქვეშ თავიანთ სცემდნენ ამ ტყის ფუტკრის ღვთაებას — ჯ გ ი რ ა გ უ ნ ა ს — წმინდა აგუნას. აქ მლოცველებს მოჰქონდათ თაფლში შეხედილი და ბლის შეშის ცეცხლზე მოხარშული კვერი და სანთლის არაყი. ხსენებული მეგონა რუხაიას გადმოცემითვე „ტყებედნიერლები“ ლოცულობდნენ ახალი წლის მეორე (ფერხობის) დღეს დილით ენგურის ნაპირას „ფაშტახირის“ დავაკებაზე. აქ მლოცველები მოიტანდნენ ძირფართო და დიდ გოგრამწარას (მწარეკვანი, მწარეხაპი), მას ყელის არეზე გაუკეთებდნენ ნახვრეტებს, მათზე იმდენივე წვრილად ჩამოქნილ სანთლებს დაასობდნენ და აანთებდნენ. უხუცესი მამაკაცი აიღებდა მას და ლოცვით მიმართავდა მდინარე ენგურს. მიმართვაში გადმოცემული იყო აზრი, რომ მას ზიანი არ მოეტანა, მოსალოდნელი ყოველივე სიკვამლე წყალს წაეღო... ამის შემდეგ ანთებული სანთლებით გოგრამწარას ჩასდგამდა მდინარეში. დამსწრენი ვუცქერდით წყლის დინებას და ვიმეორებდით მნათის წარმოთქმულ სიტყვებს. ღრმა მოხუცი მიხა, ფაშუ და ლუკა ქარდავების გადმოცემით, ყოფილი სოფ-

ლის ხუდონის ცენტრის ზემოთ — ჯაგალა ქარდავას სახლის წინ (ენ-  
გურის მარჯვენა სანაპიროზე) იდვაო მომრგვალო დიდი ლოდი, რო-  
მელშიც ამოჭრილი იყო ქვევრი. ამიტომ მას ქულაგვანც (ქვა-ქვევრს)  
ეძახდნენო. არსებობს ლეგენდა, ეს ქვევრი ყოველი ახალი წლის მეორე  
დილისათვის, რაღაც განგებით, წითელი ღვინით აივსებოდა და მლოც-  
ველები მიირთმევდნენო. ფაშუ ქარდავას გადმოცემით, აქ ჯვირაგუნას  
(ფუტკრის ღვთაებისადმი) ლოცვაც ტარდებოდა. ბოლო დროს ღვთის  
წინაშე ხალხის მიერ შესცოდვის გამო ქვა-ქვევრს მეხი დასცემია და  
იგი გაბზარულა. ამის შემდეგ იქ ლოცვაც შეწყვეტილა. აღნიშნული  
ქვა-ქვევრი კი მაღლივი კაშხლის წყალსაცავშია მოქცეული და დაფა-  
რული. ამის შემდეგ ტყაბედინერში ადრე არსებული ყოველი ბარაქა  
გაქრა და სახელი კი დარჩა. სოფელ ჭალეს მცხოვრები გვეგვე შონიას  
გადმოცემით, ლოცვისათვის განკუთვნილ ყოველგვარ ზვარაკს დაკლავ-  
დნენ ენგურის ხეობაში მდებარე კუნძულზე. იტყოდნენ, წმინდა ად-  
გილიაო, ამაზევე უთითებს სხვა გადმოცემაც; თუ სულთერი ენგურში  
დაიხრჩობოდა, სანამ მას წყალი არ გამოირიყავდა, გადაუღებლად წვიმ-  
და. ჩვენი აზრით, აქედანაა წარმომდგარი გვალვიან ამინდებში ენგურ-  
ზე „ძ ი ვ ა ვ ა ს“ (ლაზარეს) დახრჩობის ინსცენირებაც, რაც აღმოსავ-  
ლეთ საქართველოში ცნობილი „ლაზარობის“ მსგავსი რწმენა იყო.  
სოფელ ლიაში (პალური) არქეოლოგიური ძიების დროს აღმოჩენილი  
იქნა ორაგულის ბრინჯაოს სამი ქანდაკება. არქეოლოგთა აზრით, თევ-  
ზის ეს ქანდაკებანი რიტუალური დანიშნულებისაა. ამას ადასტურებს  
ს. ს. ორბელიანის ქართულ სიტყვათა ლექსიკონიც, სადაც „პალური“  
საგეოგრაფიო სახელი ამ ადგილისა განმარტებულია, როგორც სათევ-  
ზაო ადგილი. გვინდა დავსძინო, რომ აქვე აღმოჩენილი ქანდაკებები  
წყალ-ღვთაების — „ერგეს“ სიმბოლიკური გამოსახულება უნდა იყოს.  
ასევე სოფელ ერგეტაში, 1980 წელს აღმოჩნდა კერამიკული ვერძების  
ქანდაკებები. ესეც სარიტუალოა და უნდა იყოს მეგრული „მ ი რ ს ა ს“  
(ჯეგე მისარონის) სალოცავი ადგილი ერგესთან ერთად. ჩანს, ადგილო-  
ბრივი წარმართი მცხოვრებნი ენგურზე ლოცულობდნენ ისევე, რო-  
გორც ეგვიპტელები ნილოსზე იმიტომ, რომ ამ მდინარეს მცხოვრებთა-  
თვის ბარაქა მოჰქონდა. სახელდობრ, ცნობილი კოლხური ზუთხი, კალ-  
მახი. ნაპირები კი მდიდარი იყო ტახებით, ვერძებით და ირმებით. ამაზე  
უთითებს შემორჩენილი გეოგრაფიული სახელები: „ოკალმახე“ (საკალ-  
მახე), „საძირხვე“ — (საჯიხვე), „ტყაბედინერი“ (ტყებედინერი) „ოირე-  
მე“ — საირმე. „ჯუღეჯიანი“ — ტახების მუხნარი. რაც მთავარია, ენ-  
გურის გაღმერთებას ხელს შეუწყობდა ის გარემოებაც, რომ ამ მდი-

1 სერგი მაკალათია, ხამეგრულოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.,  
33. 301.



ნარეს ჩამოჰქონდა ოქროს ნამცეცები, რომელსაც (სტრაბონის თქმით) აქაურები ცხვრის ტყავის ხონჩებით აგროვებდნენ. შოტლანდიელმა მკვლევარმა კოლხეთში ჩამოსვლისას ეს მდინარეც — ენგური მოიკითხა, რომელსაც ოქროს ნამცეცები დღესაც ჩამოაქვს. ყოველივე ამან შექმნა თქმულებები — არგონავტებსა და „ოქროს კარავზე“ (სვანური ლეგენდა). ყოველივე ეს გვარწმუნებს, რომ სახელ ენგურისაგან წარმოიქმნა წყალ-ღვთაება „ერგე“, რომლის სალოცავ ადგილზე უთითებს „თა“ სუფიქსიანი საგეოგრაფო სახელი „ერგეტა“, იგივე ერგეთა და სოფელი ერგე (აჭარის ხელვაჩაურის რაიონში, ასევე ჭგერდე (ჭგერი — ერგე) ოჩამჩირის რაიონში (აფხაზეთის სსრ).

ეს მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ სახელ ენგურისაგან წარმოიქმნა წყალ-ღვთაება „ერგე“ და ერგესაგან დაბას ეწოდა — „ეგრი-სი“. (რ-გადასმული უნდა იყოს). თვით სახელწოდება მდინარისა ინგერი, ანუ ენგური, შეიძლება წარმოშობილიყო მისი კლიმატურ-ბუნებრივი თვისებიდან. ამის შესახებ პროფესორი იოსებ ყიფშიძე „მეგრული გრამატიკაში“ (რუსულ ენაზე, 1914) განმარტავს, რომ ხალხური ეტიმოლოგიით „ინგერი — იგივე ენგური შედგება ორი სიტყვის ფუძისაგან ინ(ცინ) — რგილი; მეგრულად „ცინ“ ყინულს ნიშნავს, ხოლო „გერი“ ხაჭოს გაწურვის შემდეგ დარჩენილ წურუქს — სველს; ე. ი. ინ(ცინ) გერი მეგრულად ნიშნავსო ყინულივით ცივს და გერივით (შრატვიით) მღვრიე მდინარეს“. ი. ყიფშიძე იქვე იხსენიებს აქაურ მდინარეთა სახელებს: ინ/ცინ ჩხური, ინ (ცინ) ჭა, წყუ (რგოლი) და ვარაუდობს, რომ ამ სახელწოდებათა მსგავსად უნდა იყოს წარმოქმნილი ინგირიც. მათ შორის უფრო საყურადღებოა ინგირის შესახებ ბოლოს მინაწერი მაგალითები. ისინი ჩვენ გვარწმუნებენ, რომ ინ (ცინ) გირიც ისეთი სახითაა წარმოშობილი, როგორც ინ (ცინ) — ჩხური, ინ (ცინ) — წგრა, ინ (ცინ) — ჭა, წა-ჩხურა, წარ-ჩე და სხვა. ამგვარად, თავიდან უნდა გვქონოდა სინონიმური კომპოზიტი — „ცინ-რგილი“ და არა — გერი“. ამ სიტყვის მეორე ნაწილი (რგილი) მომხდარი ფონეტიკური ცვლილებების შემდეგ, „რ“ ბგერის გადასმით, გვექნება „ინგირლი“ ხოლო „რ“ ბგერის გავლენით „ლ“-ს დასუსტებისა და დაკარგვის შემდეგ ინ (ცინ) — გირი, რაც მთელს ქვემო სამეგრელოს თქმებში „ი“-ს „ე“ შეენაცვლა და იწოდა ენგურად. ხოლო ამ უკანასკნელისაგან წარმოიქმნა ღვთაება — „ერგე“ და მისგან დაბასაც ეწოდა ეგრისი. „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია — „მხარეს ეწოდა ლეგენდარული პიროვნების — ეგროს თარგამოხის ძის სახელის მიხედვითო, დაბისაგან მდინარე იწოდა ენგურადო. ჩვენ პირიქით მიგვაჩნია, — ენგურის სახელისაგან წარმოიქმნა წყალ-ღვთაება „ერგე“ და





შხარესაც მისგან ეწოდა ეგრისი. ასევე მის ერთ მცირე ნაწილს „ოდო“ — მოსავლის ღვთაების — სახელისაგან დაერქვა „ოდო“.

მიწიერ ღვთაებათა შორის წყალ-ღვთაებასთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ხე-ღვთაებას. ეს მრავალგან დასტურდება როგორც ყოფილი ეგრისის სამეფოს, ასევე იბერიის ტერიტორიაზედაც, სადაც ამ ახლო დრომდე ტარდებოდა ხე-ღვთაებისადმი ლოცვის რიტუალი. მაგ., სოფ. ფახულანის ერთ უბანს „ესქედა“ ჰქვია. აქ ამ ბოლო დრომდე მდგარა დიდი მუხა, რომლის ქვეშ დედაკაცები სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ, ესქედას შესთხოვდნენ ძეობის გამგრძელებათა, ე. ი. ვაჟიშვილების შექნას<sup>2</sup>. ლოცვის დანიშნულება უთითებს, რომ ამ ადგილის სახელის („ესქედას“) პირვანდელი — ძირეული ფორმა („ფსქეის“ მიხედვით) „ლესქედა“ უნდა ყოფილიყო, რაც „ფსქეის“ ვაჟიშვილის, ძეობის გამგრძელებლის ბადალი სიტყვაა მეგრულში. აქედანაა წარმოქმნილი სიტყვაც — „ლესქერი“. რაც სხვა ქართველურ ენებში და მეგრულშიც ლაშქარს, რაზმს ნიშნავს, ჩვენ მიერ ჩაწერილი და 1971 წელს გამოცემულ ერთ-ერთ ხალხურ პოემაში ვკითხულობთ:

„მურე თესხიი ლესქერი,  
ბუნა-ბუნათ მესოფუნცუ?!“

„რაა ამდენი ჯარი,  
ჯგუფ-ჯგუფად რომ წინ  
მიარღვევს?!“

მუ კოჩი რე თე ლაშქარც  
კანდიორო აწოჯღუნცუ?!“

რა კაცია, რომ ამ ლაშქარს  
წინ მიუძღვის თავმომწონედ?!“

ლესის ამ სტროფში „ლესქერი“ და ლაშქარი ერთი და იგივე მნიშვნელობის სიტყვებია მეგრულში და წარმოქმნილი არიან ერთი ძირიდან და მხოლოდ მეზობლ მამაკაცთა რაზმს ნიშნავს.

მამაკაცთა სალოცავები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშიც არის ცნობილი. მაგალითად, ფშავ-ხევსურეთში ლაშარის ჯვარი ლაშქარის სალოცავია და საბრძოლველად მიმავალ ლაშქარს ლაშქარის ჯვარი უძღოდა. (იხ. კათალიკოს კირიონ მეორის ეთნოგრაფიული ნარკვევები). ამ სახით მუხა-ღვთაების სალოცავები მრავალგან გვხვდება დღევანდელ სამეგრელოს რაიონებში; კერძოდ ზუგდიდის რაიონის სოფელ კორცხელში „ჰყონმიოხვამური“ არსებობდა, რომელიც იდგა კორცხელის ეკლესიის (ჩრდილოეთით) მახლობლად. ეს მუხა დაფუძნებული წაიქცა ამ ოცდაათი წლის წინათ; აქაც ვაჟიშვილები მიჰყავდათ დასალოცავად, რასაც პირადად შევსწრებივარ. სამეგრელოში მთავარ სალოცავად ითვლებოდა ჰყონდიდი (მარტვილის რაიონი). ასევე მზე-ღვთაების სახელზე სალოცავ ხედ სჩანს თელა (მეგრულად „ცვ“), რომ

<sup>2</sup> გადმოცემა ვკუთენის 90 წ. მიღწეულ ოლგა ქვაქვალას ასულ გოგობიას.



მელიც სალოცავი ყოფილა მთელ საქართველოშიც; მაგალითად „ცვიონი“, დღეს ცაიშად წოდებული სოფლის ძველი სახელი ჩანს. აქ აღმოჩენილი ფრაგმენტი (ლომისთავი შუბლზე მზის გამოსახულებით), ზოგიერთ არქეოლოგს მზე-ღვთაების ქანდაკებად მიაჩნია. მის სისწორეში გვარწმუნებს ის გარემოება, რომ „ცვ“ — ხე-ღვთაების სამლოცველოები „ცევის“ (ცაიშის) გარდა ცნობილია უჩაშონაში—ცეცონა, და მუყაში (მუყავაში) ცენაკარი — წალენჯიხის რაიონში და მუყალში (სოფელ მულანში— მესტიის რაიონში); ქართლში, სოფ. თელეთში.

ხე-ღვთაებათა შორის დღესაც თაყვანისცემენ კაკლის ხეს. საყმაწვილო — ყბაყურა, ჩუტყვავილა, და სხვა სახის ავადყოფობის დროს, ბავშვები მიჰყავთ კაკლის ხის ძირში. მას მის ფესვებქვეშ სოროსავით გამოთბრილ ღრუში გაატარებენ, აქაოდა, მშვიდობიანად გაუვლისო. კაკლის ფესვებს ასეთ დროს წითელი ნაჭრებს შემოახვევენ. შთაგონებით მკურნალობის ეს წესი დღესაც გვხვდება სამეგრელოშიც<sup>3</sup>.

ასეთია ჩვენ მიერ შემოდასახელებული წარმართული ხანის მიწიერი ღვთაებანი (წყალ-ღვთაება და ხე-ღვთაება) და მათი სახელით ცნობილი გეოგრაფიული სახელები, რაც ზემოთ აღნიშნული მასალების გარეშე ძნელი გასარკვევია თანამედროვეთათვის. ენგურის სახელწოდების გარკვევის შემდეგ თანმიმდევრობით მინდა შევეხო ენგურის ხეობაში მდებარე ხევ-ხუეებს, როგორცაა ხუ-მათია, მა(ხუ) სანია, ხუ/დონი, /ხუ/ბერი, ხუ/მფრელი/. ესენი წარმოქმნილი არის დღეს საერთო ქართულში ფუძის გაორკეცებით შექმნილი კომპოზიტიდან (ხევ-ხუეებიდან) მეგრულს შემონარჩუნებული აქვს მხოლოდ სიტყვის ბოლო ნაწილი „ხუვი“ ან შემოკლებით „ხუ“; ამის მიხედვით უნდა გვქონდეს — მა/ხუ/სანია, ე არ მოგვცემდა უ-ს! /ხუ/ მათია, /ხუ/დონი, /ხუ/ ბერი, /ხუ/მფრერი. ჩვენ მიერ აქ მხოლოდ სიტყვის ძირია გარკვეული, აქედან ფონეტიკური ცვლილების შემდეგ ენამ გამოიმუშავა გამოთქმები (სახელთა) — მახსანია, ხუდონი, ხუბერი, ხუმფრელი, რაც პატარა ხეებს ნიშნავს და ერთად აღებული იწოდება ენგურის ხეობად, მეგრულად — ლეხერა. აქ ანგარიში უნდა გაეწიოს გეოგრაფიული სახელის — „მა-ხუ-სანის“ ბოლო ნაწილს — „სანი“ — იმიტომ, რომ ასეთი დაბოლოების სახელები სხვაგანაც გვხვდება. მაგალითად, ქართლში — ქსანი, ჩრდილოეთ კავკასიაში ბაქსანი.

ამ ხეებს შორის მახსანია ყველაზე ვიწროა და სწორედ აქაა აღმართული ენგურპისის 270 მეტრიანი კაშხალი. მის მარჯვენა მხარეზე გაყვანილია 14 კმ. გვირაბი მთა ოხაჩქუეს შუაგულში გადის. ეს მთა ზღვის დონიდან 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და სამეგრელოში ცნობილი აგარაკია. მისი ღორღიანი ზედაპირი ზეგანს მოგვაგო-

<sup>3</sup> იცოდნენ გურიაშიც. რ ე დ.



ნებს. აქ, უწყლობისა და სიცივის გამო, ბალახი ადრე ჰკნება. ხალხური  
გადმოცემების მიხედვით ეს მთა ოხაჩქუე ჩვენს წინაპრებს სამეურნეო  
პერიოდის დასადგენად ჰქონიათ გამოყენებული, სანამ მისი შიშველი  
თხემი თოვლით იყო დაფარული, თესვის პერიოდი (ხაჩქუა) დაგვიანე-  
ბულად არ ითვლებოდა. (ამ მთაზე თოვლის დნობა მაისის ბოლო რი-  
ცხვებამდე გრძელდება). სიტყვა — ხაქუა“ მეგრულში ნიშნავს თოხით  
მიწის გაფხვიერებას და თესლის ჩათესვას (შდრ. იქვე — ოხაჩქუე).

მთა ოხაჩქუეს სამხრეთ ბორცვზე მდებარეობსა სოფელი „მუჟა“,  
იგივე — მუჟავა. „მუჟალ“ (სოფელი) მესტიის რაიონშიცაა ცნობილი  
და მულახის სოფ. საბჭოში შედის. სვანურ-მეგრულად ის სამზეო ად-  
გილს ნიშნავს და მეგრული წარმოშობისაა (მუჟა, ბუა, მეგრ. მზე); მე-  
გრული ბუაშდლა — კვირა, სვანურად „მუჟალადე“. სვანურში კვირის  
დღები შეუცვლელად მეგრულის მსგავსადაა წარმოებული. „მუჟაში“  
არის ადგილი „„ცენაკარი“, სადაც „უინიშის“ (ზეციური ღვთაების) სა-  
ლოცავს იხდიდნენ. მზე-ღვთაების სალოცავი უნდა ყოფილიყო (შდრ.  
მაგ. ცვიონი), ურთის კალთაზე მზე-ღვთაების კერპად ცნობილი  
ფრაგმენტია ნაპოვნი, — ლომის თავი შუბლზე მზის გამოსახულებით,<sup>4</sup>  
ასევე ახალსოფელში (უჩაშონაში) უძველეს სალოცავ ადგილს „ცეცო-  
ნას“ უწოდებენ.


სოფელ მუჟაში „ჩინარედან“ სათავეს იღებს მდ. ოლორი. აქ  
ჩანს ნათალი ქვის შენობის ნაშთები, რომელიც ყოფილა წმ. გიორგის  
ეკლესია. დიდი ილორის<sup>4</sup> წმინდა გიორგის შესახებ ხალხური თქმუ-  
ლება გადმოგვცემს, რომ გიორგობის დღეს 20 ნოემბერს საღამოს აქ  
თეთრი ხარი მოჰყავდა წმინდა გიორგისო. ზოგის გადმოცემით — თეთ-  
რი ხარ-ირემიო. მდინარე ილორის სათავეში (ჩინარეში) ძველად არ-  
სებული საყდარიც ატარებდა პატარა ილორის სახელს. და მდინარესაც  
ადრე ერქვა ილორიო (შემდეგში ოლორად გადაკეთდა). გადმოგვცა  
მოხუცმა, აწგარდაცვლილმა ალექსი ფიფიამ. (იხ. რუსთაველის სახ.  
ინსტიტუტის ფოლკ. ექსპედიციის 1971 წლის ჩანაწერები). გადმოცემე-  
ბი წმინდა გიორგიზე ჩაწერილი აქვს პროფ. ალ. ცაგარელს. მათი მი-  
ხედვით ამ ადგილს (მუჟაში) წმინდა გიორგიმ ალაღმართალ მწყემსებს  
და ეკლესიის მსახურ ძმებს არქანებს ნადირთა ბედი მიანდო, —  
„ირემთა ჯოგი გმორჩილებდეთ და ნებეირად მოიხმარდეთ, ღვთის წყა-  
ლობას საიდუმლოდ შეინახავდეთო და სხვა... მათ ცოლებს (ერთის  
მეუღლე ყოფილა გვარად გოგონია და მეორისა ბულია) ეჭვი შეპარ-  
ვიათ რძის სიუხვესა და ყველის ხარისხზე. ისინი მალულად მიპარულან  
ფარებთან სწორედ იმ დროს, როდესაც მათი ქმრები ირმის ჯოგს წვე-  
ლიდნენ. შეავლეს თუარა თვალი ამ ამბავს, ირმის ჯოგი გაქცეულა და

<sup>4</sup> დიდი ილორი არის ოჩამჩირის რაიონში და წინა საუკუნეებამდე მთავარ და-  
დიანთა სამფლობელოში შედიოდა.

იმ დღიდან ირემი იმ მიდამოს აღარ გაჰკარებია. ქმრებს ცოლები ვაჟებს  
გდიათ და აღთქმა მიუციათ წმინდა გიორგისათვის: გვარად არქანისა  
ბულია და გოგონია არ შეერთო. ეს ტრადიცია მათ გვარებში დღესაც  
ძალაშია.

მდინარე ილორის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩამოდის მდინარე  
ერისწყალი. მისი სათავეც მთა ოხარქუეს კალთებიდან იწყება. იმ ად-  
გილს, სადაც სათავეს იღებს მდ. ერისწყალი, „ერთში“ ჰქვია. ეს მდი-  
ნარე გაივლის გალის რაიონის სოფლებს და ცალკე ერთვის შავ ზღვას  
სოფ. გუდავასთან. მისი კალაპოტის უმეტესი ნაწილი დღეს ენგურტყე-  
სის ტურბინებიდან გამოსულ ენგურს უჭირავს, ვახუშტი ბაგრატიონ-  
ის აღწერილობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დადის წყალი და ერის  
წყალი ერთი და იგივე უნდა იყოს. მის მიდამოებში მდებარე ადგილე-  
ბი (ენგურსა და დალიძგას შორის) 1923 წელს ევ. ბარამიძისა და ა. ჯა-  
ვახიშვილის შედგენილ რუკაზე სადადიანოდ იწოდება, ხოლო არსებუ-  
ლი მდინარე კი — დადისწყლად. ამ ტერიტორიაზე ასეთი აღწერი-  
ლობის სხვა მდინარე არ არსებობს. ვფიქრობთ, რომ ამ მდინარის სა-  
ხელი თავდაპირველად დადისწყალი იყო, ვინაიდან ამ მხარეში გეოგრა-  
ფიული ადგილები დადის სახელით იწოდება — დადბერა (დადის გა-  
მოქვაბული) სოფ. ჯვარში, დადის ტყე და დადისწყალი. ამიტომ ვფი-  
ქრობთ, რომ ამ მდინარეს დადისწყალი ეწოდებოდა, შემდეგ კი ერის-  
წყალი დაერქვა. საყურადღებოა, რომ გაერთიანებული საქართველოს  
(XI—XII—XIII საუკუნეებში) დასავლეთის მხარის განმგებელი და-  
დიანები (ზვიადი, შერგილი, გიორგი, ცოტნე) იწოდებოდნენ არა მხო-  
ლოდ დადიანებად, არამედ ერისთავთ-ერისთავებად იხ. ხობის მონას-  
ტრის წარწერა შერგილი, გიორგი და ცოტნე დადიანების ფრესკაზე),  
ვინაიდან დასაბამიდან მათი სამკვიდრო მამული ამ კუთხეში იყო, მათი  
პირველი რეზიდენციაც ამ კუთხეშია ცნობილი (ბეღია); ეს კუთხე და-  
დიანთა, სამკვიდროდ თუ იწოდებოდა, აქ არსებული მდინარესაც ად-  
რიდანვე დადისწყალი დაერქმეოდა. ხოლო გაერთიანებულ საქართვე-  
ლოს სამეფოში დადიანთა (ვარდანი, შერგილი, გიორგი, ცოტნე) თა-  
ნამდებობრივი უფლების ამალგების შემდეგ (მეფის მრჩეველად დანიშ-  
ვნის შემდეგ) იწოდებოდნენ ერისთავთ-ერისთავად და იმავე მდინა-  
რეს (დადისწყალს) შეიძლებოდა დადიანთა ახალი ტიტულის მიხედ-  
ვით დაერქვა ერისწყალი. მან შეცვალა მდინარის ადრინდელი სახელი  
დადისწყალი, ან შეიძლება, ერთიმეორის პარალელურად დადისწყალს  
უწოდებდნენ და ასევე ერისწყალსაც.


მდ. ერისწყალსა და ილორის შორის (სოფ. ფახულანის ტერიტო-  
რიაზე) მდებარეობს ქვაბული ტებენე. ტებენე ი. ყიფშიძის განმარტე-  
ბით ასე ეწოდება გაუვალი ტყით დაფარულ ღრმად — ჩაქცეულ ად-  
გილს — ქვაბულს. ეს ადგილი რელიეფური მოხაზულობის მიხედვით



შეესაბამება სახელწოდებას (ტებენეს). (ტებენე-ტები ცნობრთქვესლი მარტვილსა და ხონში) აქედან სათავეს იღებს მდ. ტებენეც (მიედიწება აღმოსავლეთით და უერთდება ოლორს). ტებენეს სამხრეთ-დასავლეთით მიედინება მდ. ქალაღალი (შემოკლებით — ქალაქი) და საბერო-ფახულანის საზღვარზე უერთდება ერისწყალს. აქვეა სოფელი ქალაღალე. სახელწოდება ამ სოფლისა და მდინარისა წარმოქმნილი უნდა იყოს მეგრული სიტყვიდან „ღალუა ან დოღალგსაგან“, რაც შიშისაგან შებღალვას ნიშნავს. ეს ადგილები თავიანთი დაბურული ტყეებითა და ხევ-ხუხეებით, ხალხური გადმოცემის მიხედვით, ჰინკების და წყლისდედათა სამყოფელ ადგილად ითვლებოდა. ამიტომ ეწოდათ მათ „უბადო ღალე და ქალაღალე“ — ავი ღელე და შემღალავი ღელეო.

მთა სათანჯო მდებარეობს ოხაჩქუეს სამხრეთით, ვნგურის მარჯვენა სანაპიროზე და წარმოადგენს კავკასიის მთავარი ქედის წინა-კალთებზე მდებარე ბორცვებისა და გორაკების დაბოლოებას (ზღვის დონიდან 508 მეტრი). სათანჯოდან მოჩანს მთელი კოლხეთის დაბლობი და შავი ზღვა. ადრეულ პერიოდში მას სათვალთვალოდ და ორიენტირებისათვის იყენებდნენ კოლხეთის უღრან ტყეში გასული მონადირეები თუ სხვადასხვა საქმით დაინტერესებული და ამ კუთხეში მოსიარულენი. მისი ასეთი მდებარეობის გამო შეიძლება ეწოდებოდა „სათანჯო“ — მისანიშნებელი ან სათვალთვალო ადგილი. მეგრული „თ ანჯო“ იგივეა, რაც დ ა დ ი (ს. მაკალათია, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. გვ. 235). უფრო სარწმუნოა, რომ გადმოცემათა მიხედვით ეს მთა ამინდის საცნობად ჰქონდათ გამოყენებულიო. სათანჯოს თხემს

5 წყარიში დიდა (წყლის დედა) ხალხური გადმოცემით იგივე ტყაში მიფაა (ტყის მეფე-ქალი, ნადირთა ღმერთი, რომელიც წყლის ცხოველებსაც პატრონობს). ჩვენ მიერ ჩაწერილი გადმოცემის მიხედვით, ოლორის ხეობის სოფ. ფახულანში მცხოვრები პეტრე გერგედავა სათევზაოდან შეშლილი დაბრუნებულა. მის სიტყვებით მას წყლის დედა (წყარიში დიდა) შეხვედრია ოლორის ხეობის გირწოებში, ტებენეს შესართავთან იმ დროს, როდესაც გაშლილი ბადის მოშუპვის დროს დახრილა. წყლის დედა თურმე თავზე დაახტა და მორჩილება მოსთხოვა. პეტრე და წყლის დედა შეიბნენ, ბოლოს პეტრე დადლილა და რომ უნდა დანებებულიყო, ამ დროს მოვარდნილა პეტრეს ძალი. მის გამოჩენაზე წყლის დედა გაქცეულა. ამის შემდეგ პეტრე შერყეულა. მკურნალად ვილაც ექიმბაშ ლაზს მიჰგვარეს. ექიმბაშს მისთვის შელოცვით ნაკურთხი რაღაც წამალი და შემდეგი სახის დარიგებაც მიუცია, — შუა ღამით ამღვარიყო, „წამალი“ მგარად დაეჭირა ხელში და წასულიყო „ოფურგინეს“ ხეობაში და ჩაებახა ხელბირი. იქვე თურმე პეტრე მოისმენდა სირინოზის სიმღერას. შემდეგ უშოშრად განეგრძო გზა ტებენეს ხეობისაკენ. აქაც მას ხელი უნდა დაეებანა, „უბადო ღალში (ავლეულში), სადაც პეტრე საშინელ წივილს გაიგონებდა, მაგრამ ყოველგვარი შიშის გარეშე უკან უნდა დაბრუნებულიყო. ექიმბაშის ნათქვამი ასოვდა: „სანამ ეს „წამალი“ ხელთ გექნება, ნურაფრის შეგეშინდებაო“ (ე. ი. ჩაგონებული მკურნალობა შიშისაგან შეპყრობილისა). პეტრე განკურნებულა. ასეთი თქმულებები მრავალ ვარიანტებადაა გავრცელებული ტებენესა და ქალაღალეზე.



თუ ღრუბელი დაფარავს, ვარაუდობენ, ცუდი ამინდი იქნებოდა. მწვერ  
ვალის მოწმენდა კი ღარის ნიშანი ყოფილა. არსებობს ხალხური ლექსიკონი

„სათანჯო სარკილი დო  
ღიხაზურგა-მუნაფილი,  
თელი გახარებული დო  
ღურეღეფი — ჩსონაფილი!...“

„სათანჯო მოწმენდილი ქნა,  
ღიხაზურგა — დაბურული,  
ცოცხალი გახარებული იყოს და  
მიცვალებული — ცხონებული!“

დღემდე ცნობილი დანარჩენი სტრიქონები ამ ლექსისა სხვადასხვა  
ღროს სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებითაა შექმნილი, რომელ-  
საც სრულებით არავითარი კავშირი არა აქვს სათანჯოსთან. ხალხური  
ტრადიციული გადმოცემის თანახმად, შეიძლება ვთქვათ, რომ ამ ლექ-  
სის დანარჩენი სტრიქონები უფრო გვიანდელ პერიოდშია შექმნილი და  
სიმღერის შინაარსობრივი ფონის გამდიდრების მიზნითაა ამ ლექსისა-  
თვის გადაბმული, თუმცა დამატებული დანარჩენ სტრიქონებში გად-  
მოცემული ეპიზოდებიც ამ კუთხეში მომხდარ ამბავთან არის დამოკი-  
ლებული. მაგალითად, როგორცაა — სი ქოული, მა, დომტალენქო,  
„ნოსა დოსქგლადირი დო დიანთილი ცუხნაფილი“. მაგრამ ეს სტრიქო-  
ნები თემატიკური თვალსაზრისით ლოგიკურად მთლიანობაში არაა  
ლექსის დასაწყისთან. როგორც აღინიშნა, ლექსის პირველი სტროფი-  
დან აშკარად იგრძნობა, რომ მასში ხალხის ნატვრაა გადმოცემული.  
რადგანაც სათანჯოს მოწმენდილობა კარგი ტაროსის მაუწყებელია და  
ეს უკანასკნელი კი კოლხელებისათვის უხვი მოსავლის საწინდარი იყო.  
ავდარობა პირიქით — მოუსავლიანობისა, შიმშილი და ციებცხელება  
იყო კოლხელებისათვის. ამიტომ ბუნების წყალობის შემყურე კოლხე-  
ბი კლიმატის დასადგენად მთა სათანჯოს შეპყრებდნენ, ნატვობდნენ  
მის მოწმენდილობას, ვინაიდან ეს უკანასკნელი მათთვის კეთილის მო-  
მასწავებელი იყო. სწორედ ეს აზრია გატარებული ლექსის პირველ  
სტროფში. ი. ყიფშიძის და ალ. ცაგარელის მიერ ჩაწერილ და გამო-  
ქვეყნებულ მასალებში ხალხური ლექსი სათანჯოზე 6 სტროფს მოი-  
ცავს, რომლის ცალკეული ნაწილები, როგორც აღინიშნა, სხვადასხვა  
პერიოდშია შექმნილი სხვადასხვა მოვლენებთან დაკავშირებით და ამ  
ლექსს უკარგავს პირვანდელ მნიშვნელობას.

ახლა სიტყვა თ ა ნ ჯ ი მეგრულში იშვიათად იხმარება. იგი შემო-  
უნახავს მთის სახელ „სათანჯოს“: მიაჩნიათ ვითომც, აქ ძველად სატან-  
ჯავი ადგილი ყოფილიყოს და ამიტომ იქვე მდებარე ციხისათვისაც  
სატანჯო უწოდებიათ. ვფიქრობთ კი სიტყვა „თანჯს“ და „სათანჯოს“  
არა აქვს კავშირი ტანჯვასთან, აქ დასახელებული მაგალითის საფუ-  
ძველზე შეიძლება ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რაოდენ

გაუგებრობას იწვევს ცალკეულ პირთა მიერ გეოგრაფიულ დებათა თვითნებურად შეცვლა.


სოფ. ჭუბურხინჯი (წაბლის ხიდი) იწყება ოცარეედან და წარმოადგენს მთა სათანჯოს სამხრეთ კალთაზე ბორცვ-გორაკების ირგვლივ მდებარე ვაკეს. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ სოფლის სახელი წაბლის ხიდთანაა დაკავშირებული. ღრმა მოხუცი ბოჯო ცატავა, ამ სოფლის მცხოვრებნი ერასტო და ზოსიმე გერგედავებმა გადმოგვცეს მათი ბაბუების ნაამბობები: ოცარცესა და ჭუბურხინჯის საზღვარზე ენგურის მარჯვენა — ქარაფოვან ადგილიდან წაქცეულა წაბლის ხე და გადებულა მდ. ენგურის მთავარ შტოზე. წლების განმავლობაში ყოფილა იგი გამოყენებული ხიდად. ბუნებრივია, რომ მას წაბლის ხიდი (ჭუბურხინჯი) ეწოდა.

სათანჯოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს სოფ. ჭუბურხინჯის ერთი უბანი, რომელსაც ნ ა ლ ი მ უ ჰქვია. იგი ფართო ადგილს მოიცავს. მთქმელების გადმოცემით ნალიმუ იმავე ნ ა ლ ი მ ა — ნ ა ო მ ა რ ი ადგილს ნიშნავს.

ოცარცე — ჭუბურხინჯის გასწვრივ, ინგირის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობს გამოღმა სოფელი რუხი და რუხის ციხე. სახელწოდება სოფლისა რ უ ხ ი, ჩვენი აზრით, უნდა შექმნილიყო ქვადორღიანი ნიდაგის — როხისაგან, რაც დამახასიათებელია ამ სოფლის ენგური გადასახედზე მდებარე ადგილებისათვის. ამ სახითაა წარმოქმნილი სახელი სოფლისა „როხი“ (ვანის რ-ნ).

სოფელ რუხის ჩრდილოეთით სოფ. ტყაიამდე მდებარეობს სოფ. რეყე (ნარიყალი). ამნაირადგეა შერქმეული ფახულანის ზემოთ მდებარე სოფელი — ჭალე (ჭალა).

შ ა მ გ ო ნ ა. მოხუც შ. წყაროზიას გადმოცემით ძველად აქ ყოფილა უღრანი ტყე. აქ ბერებს აუგიათ ეკლესია. მათ საკუთარი მეურნეობა ჰქონდათ და თავს ირჩენდნენ. შემდეგში ენგურს გაურღვევია ეკლესიის მიდამოები და ეკლესია წაუღეკავს, ნაშთებილა ჩანს. სალოცავი წიფურებისად ითვლებოდა. იგი მოხსენიებულია ვახუშტი ბაგრატიონის წიგნში. ბერების დატოვებულ მეურნეობას შანგუ წყაროზია დაპატრონებია. იქ ყოფილა ვაზის ჯიში; იგი შანგუს გადაურჩენია და ამ ადგილზე მოსახლეობის გამრავლების შემდეგ ეს ვაზის ჯიში გავრცელებულა მთელ სოფელში. ამიტომ ამ ვაზს „შანგუს ვაზი“ ეწოდა, ხოლო სოფელს კი „შანგუნა“ — შემდეგ შამგონა.



სოფ. განარჯიას მუხურო შამგონა — ოტიბაიას გავრძელებას წარმოადგენს. სახელწოდება სოფლისა წარმოქმნილია ადამიანის სახელის — განარჯიას ხუფენისაგან, რომელიც ყოფილა მთავრის დადიანის მეჯოგე. მას ჯოგი ედგა იმ ადგილზე, რომელსაც შემდეგ ეწოდა მისი სახელი. იმ დროისათვის იგი ყოფილა ტყიანი უკაცრიელი ადგილი და დადიანის წინაშე დამსახურებისათვის მთავარს უბოძებია სამოსახლოდ, ეს ყოფილა პირველი მოსახლე ამ სოფელში. გვანჯი ჩიქოვანის გადმოცემით, მთავარი ლევან დადიანი ხშირად ეწვეოდა ხოლმე განარჯიას ოჯახს და უყვარდა ენაწყლიან გარანჯიასთან საუბარს<sup>5</sup>. განარჯიას შთამომავლობა დღესაც ცხოვრობს ამ სოფელში.

შამგონას პირდაპირ ენგურის სანაპიროზე მდებარე ძველი „ჯოღეჯიანია“ (გარეული ღორების ტყე-მუხნარი). ამ ტერიტორიაზე არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტი — რკინიგზის სადგური „ინგირი“, „ინგურქალაქკომბინატი“, „ინგირის საბჭოთა მეურნეობა“ და სოფელი „ინგირი“. ძველი სახელწოდება — ჯუღეჯიანი“ აღარ იხმარება. ამ ადგილების სამხრეთით მიმდებარე სოფელია კახათი. ვთვლით რომ სოფლის სახელი კახათი წარმოქმნილია სახელისაგან — კახა — (გავლენიანი ბერი უნდა ყოფილიყო).

მოხუცის დავით ფაცის გადმოცემით რუხსა და კახათის საზღვარზე მდგარა ქანდაკება, რომელსაც „ბერის ქუდს“ ეძახდნენ. მისი გადმოცემით, მთავარს დადიანს ბოლო დროს გაუუქმებია ეს წოდებულება და კახათელები თავის საყმო სოფლად გაუხდია. ამის გამო სოფლის თავკაცებს საჩივარი ჰქონდათ ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოში. ამასთან დაკავშირებით სამთავრო ადგილსა და კახათის საზღვარზე (ამჟამად ქალაქის კომბინატის ტერიტორია) მდგარი — კახა-ბერის ქანდაკება მთავარს დაუმსხვრევია, რადგანაც „ბერის ქუდს“ (ქანდაკებას) საბუთად იყენებდნენ კახათელებიო, — ჩვენ კახა-ბერის საყმო

<sup>5</sup> გადმოცემით (მოქმედი გვანჯი ჩიქოვანი) ერთხელ მთავარი ლევან V დადიანი სწვევია განარჯიას და მოუკითხავს მისი ჯალაბი. უკითხავს, პირადად შენ როგორა ხარო?

- შენზე უკეთესად, შენი თავი არ მომიკვდესო, — უპასუხია განარჯიას.
  - როგორ, კაცო! მე მთავარი ვარ და შენ — მწყემსს — ჩემზე უკეთესად რა გამყოფებს, როგორ ტყუილა იფიცებ ჩემს თავსო!
  - ჩემს სიტყვაში ერთი ტყუილიც არ ურევია, შენი თავი არ მომიკვდესო, დაფიქრდი, შენ ხალხი არ გემორჩილება და აგერ სამთავრო ტახტიდან ლამის ჩამოგავდონ, მე კი ჩემს ნახირს, საითაც მიინდა, იქით გავრეკავ და დავაბინავებო.
- დადიანს გააღიმებია, როგორ მოიფიქრებს ეს მწყემსი ასეთებსო?!





ვიყავით და არა დადიანისაო. „ბერის ქუდის“ ადგილს ჩანს ქვემოთაშენი შენობის ნაშთი. ეს ყორღანულად ნაყარი მიწით უნდა იყოს ამდღე-ბული დაახლოებით ერთ ჰექტარ ფართობზე. აქვე 1930 წელს არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილია რამოდენიმე ნაკადად გაყვანილი არხები თიხის მილებით. ვინაიდან ეს ადგილ უწყლო ყოფილა, მდინარე კუჩხობონუსა და ჩხოუშიას იყენებდნენ მოსარწყავადო, — დასძინა დავით ფაციაძე.

კახათის სამხრეთით ანაკლიამდე მდებარეობდა სოფ. დარჩელი. „რჩე“ ფუძისაგან წარმოებული გეოგრაფიული სახელი ბევრია დასავლეთ საქართველოში.

ეს სახელები წარმოქმნილი უნდა იყოს მცენარეთა სიმრავლისაგან დგრ-ჩე-საგან, ისე, როგორც სვანეთში სოფ. დერცელი და სოფ. დერჩი (ცაგერის რაიონში) წარმოქმნილი ჩანს მცენარის სახელის „დერცე“, მეგრული „დგრჩესაგან“.

მდ. ენგურის შესართავთან, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ადგილს ეწოდება „ანაკლია“ („ანარკია“). იგი ნაწარმოები უნდა იყოს მეგრული სიტყვის „ალნარკისაგან“. რაც ნიშნავს ნაკივარ-ნაყვირალ ადგილს და ასახელებენ ფეოდალურ სამეგრელოში ყმების ყიდვა-გაყიდვის ადგილად<sup>7</sup>.

სწორედ ამ ადგილიდან (XVI—XVII ს.) გაჰყავდათ თურქებს მოტაცებული, შესყიდული თუ ოსმალთს სულთანთან ხარკად გასაგზავნი შეპყრობილი გოგო-ბიჭები. ნათესაეთა და სამშობლოს დამკარგავთა გოდება-კივილი ზარავდა ამ ადგილს, ამიტომ ეწოდა ალნარკიაო. დროთა განმავლობაში ამ სიტყვამ „ლნ“ თანხმოვანი ბგერების ერთად თავმოყრისაგან, გამოთქმის გასამარტივებლად ცვლილება განიცადა, — მოხდა „ლ“ ბგერის რედუქცია და დაგვრჩა გამოთქმა ანაკლია.


გადმოცემას გეოგრაფიული პუნქტის ანაკლიის სახელწოდების შესახებ მხარს უჭერს ჩვენ მიერ ჩაწერილი მეგრული ხალხური პოეზიის ნიმუშებიც — „სი ვარშენო ბათაია“, „ჭკორიში ქავევა“ და სხვა. აღნიშნული ლექსებიდან დამახასიათებელია ტაეპები ანაკლიის შესახებ:

„... ცურსალეფიში! ნახვამლეფი, სქანი და დო ჯიმალეფი, ხე დო კუჩხი კვრილეფი ან არკიიას რჩხვიანდენი!“	„ყურსალთა გატაცებულნი შენი და და შენი ძმები, ანაკლიაში კიოდნენ ხელ-ფეხი გაკოჭილები!“
--	---

(იხ. ქართული ხალხური პოეზიის მასალები მეგრული ნიმუშები, თბილისი 1971, წ. გვ. 60).

<sup>6</sup> გადმოცემა ჩაიწერე 1952 წ.

<sup>7</sup> ძველ რუკებში (XVII საუკუნემდე) ანაკლია არ არის აღნიშნული, რაც ადასტურებს ტრადიციულ გადმოცემის სისწორეს.



ზოგიერთები უთითებენ ბერძნულ „თქმულება არგონავტებზე“, გმირის ჰერაკლეს სახელით ცნობილ ქალაქის ჰერაკლიას ბოსფორის მიდამოებში არსებობაზე. დღეს ისტორიის ზოგიერთი მიმოხილველი ფიქრობს თითქოს „ანაკლია, ჰერაკლიას“ ვარიანტია. ჰერაკლია იგივე ანაკლია ჰგონია! ამ აზრს სწორად ვერ მივიჩნევთ, ვინაიდან ლაზ-მეგრელებს სახელის ჰერაკლეს და მისგან ზედწოდებული ქალაქის — ჰერაკლიას გადასხვაფერება სრულებითაც არ დასჭირდებოდათ და არც შეცდებოდნენ მის სწორად წარმოთქმაში. ასეთი სახელები (ერაკლე, ირაკლი, ირაკი, ერაკი) და სხვა როგორც ამჟამად, ისე იმ დროსაც იქნებოდა გავრცელებული. ასე, რომ სახელი „ანაკლიის“ გააზრებაში უნდა დავეყრდნოთ ლაზურ-მეგრული ფორმით შექმნილ სახელ „ალ-ნარკიას“, საიდანაც წარმოქმნილია მისი მერმინდელი სრულქმნილი სახელწოდებანი — ანარკია და ანაკლია.

მოჩუხჩუხე წყაროებით კორდებამღერებული და ენგურის სანაპიროზე დაფენილი, მაღლარი ვაზის ხეივანებით დამშვენებული სოფელ ლიაზე სიმღერაც შეუქმნია ხალხს:

„ჰაი შური, საყვარელი,  
ნაგვალ ცხენიში(ი) მუნოხუნა!  
ინგურპიცი ჩერეზი დო  
ნწარე მართახიში ხუმა,  
ჩონგურიში(ი) გებირა დო  
ლიური ღვინეფიში შუმა!“

„ჰაი სულო, საყვარელო,  
ნაიალალარ ცხენზე ჯდომა!  
ენგურის პირზე ჯირითი,  
ლიურ ღვინებით მოლხენა,  
მათრახის მწარე ხმა და  
ჩონგურზე მღერის მოსმენა.“

ხალხური ეტომოლოგიით „ლია“ დამთავრების, დასრულების (დაილიას) აღმნიშვნელ ტერმინადაა მიჩნეული (სული დალია, ღვინო დალია). მეგრულშიც ასეთივე მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვა და სწორედ ხალხური გადმოცემით ამ ადგილზე (ლიაში) მომხდარა თურქ-მანული ჯარების ამოხოცვა და ამიტომ ეწოდათ ამ ადგილს ლია?

ლიას ზემოთ, ჯვარის საზღვარზე მდებარე უბანსაც უწოდებენ „ოხარკალეს“ — სიგნალის მისაცემ ადგილს, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ომი, ბრძოლა, მტრის წინააღმდეგ, იგი იდგა იმ ადგილზე, რომელსაც მერე (მტრის დახოცვის შემდეგ) ეწოდა ლია.

უ რ თ ი ს ა ნ ს ა მ ბ ლ ი

ურთა მდ. ჯუმის მარცხენა სანაპიროზე მდებარე კავკასიონის ქედის სამხრეთ კალთაზე მოქცეული მთა-გორაკების დაბოლოებას წარ-

8 ყ უ რ ს ა ლ ი — ადამიანის გამტაცებელი ავაზაკები.  
9 ი . ყ ი ფ შ ი ძ ე . მეგრული გრამატიკა, გვ. 273.




მოადგენს და გადაჰყურებს კოლხეთის დაბლობს, რომლის სამხრეთით დასავლეთისა და ჩრდილოეთის კალთებზე ამჟამად შეფენილნი აბასთუმნის ციტრუსოვანი და სუბტროპიკულ მცენარეთა პლანტაციები. ურთის თხემი და მისი მიმდებარე ბორცვები ხშირი ტყითაა დაბურული. აქაა ცაიშის ცნობილი ტაძარი, შეინიშნება უძველეს სამლოცველოთა ნანგრევები და პალატები.

აღნიშნული გეოგრაფიული სახელები (ჭეგეთა, ურთა, ცაიში) შორეული წარსულიდან მომდინარეობს და მათი მნიშვნელობის ამოცნობა თანამედროვეთათვის საინტერესოა გახდა. მისი გარკვევა სცადეს ჩვენმა სწავლულებმა. რამდენიმე კორესპონდენცია გამოქვეყნდა კიდეც (იხ. გაზეთი „მებრძოლი“, 1979 წ. № 74 და 1979 წ. № 131, ავტორები — მ. პაჭკორია, ჯ. როგავა, ა. ბოხუა).

ავტორები ისტორიული წყაროებზე დაყრდნობით ახლო მოვიდნენ საკითხის გაგებასთან (მ. პაჭკორია, ჯ. როგავა). ასეთ საკითხებზე მსჯელობის დროს კიდეც უფრო უნდა ჩავუყვირდეთ დიდ მეცნიერთა აზრებს (აღ. ცაგარელის, ი. ყიფშიძის, ივ. ჯავახიშვილის და სხვა), შესაბამისი პერიოდის ლექს-სიმღერებს, არქეოლოგიურ მასალას, ისტორიულ წყაროებს და ენობრივ მონაცემებს.

როგორც ჩვენ ხელთ არსებული მასალებით დასტურდება, ზემოთ დასახელებული გეოგრაფიული სახელების უმეტესობა წარმათული ხანის ღვთაებათა სახელებით ცნობილი სალოცავები უნდა ყოფილიყო. ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების შემდეგ ძველი ღვთაებანი ახალმა ღვთაებებმა შეცვალეს. ახალი სარწმუნოების მესვეურებს დაუშვსვრევიათ წარმართობის კერპები და უმეტეს შემთხვევაში იმავე ადგილზევე შეუქმნიათ ახალ ღვთაებათა სალოცავები. ამიტომ ასეთ ადგილებს შემორჩენიათ ძველ ღვთაებათა სახელწოდებანიც ახალი სახელის დართვით და დღეს ორივე ერთად მოიხსენიება: მაგ. ურთის წმ. გიორგი, ცაიშის ღვთისმშობელი, ქიაჩის მთავარანგელოზი, ილორის წმ. გიორგი და სხვ. სწორედ ეს ნათესაობითში მდგარი სახელები განსაზღვრებად — ურთის, ცაიშის, ილორის — გახლავთ წარმართული ხანის ღვთაებათა სახელები.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა ხაზი გაესვას იმასაც, თუ რომელ ქვეყნებში შეიქმნა უძველეს ღვთაებათა კერპებისა და შემდეგი დროის ღვთაებათა სალოცავები და ასეთები როგორ გავრცელდა ან დაწესდა ქართველ ტომებში? ამის შესახებ ჯერ კიდეც ივ. ჯავახიშვილი წერდა: „მთვარე მთავარ ღვთაებად ასურელებისა და ქარანელების ან საბიელთა სარწმუნოებაში ითვლებოდა. მას „სინს“ ეძახდნენ და ქვეყნიერების მბრძანებლად თვლიდნენ. სარწმუნოა მეტადრე ის, რომ ამ ორთავე ხალხის შეხედულებებითაც მთვარე მამაკაცად ითვლებოდა. შედარებით შესწავლა გვიჩვენებს, რომ ქარანელების ანუ საბიელთა და ქარ-



თველების უძველეს სარწმუნოებათა შორის სხვა მხრივაც დიდი მსგავსება არსებობს<sup>1</sup>.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს აგრეთვე მნათობთა სახელების მიხედვით დაწესებული სალოცავი ადგილებისა და რიგ გეოგრაფიულ სახელთა ერთგვარობა, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ასევე ქართველ ტომებში. მაგალითად, მთვარე ღვთაების თაყვანისცემის საფუძველზე უნდა იყოს წარმოქმნილი სახელწოდება მდინარისა — „სინ-წა“<sup>2</sup>, „ო სინ დალე“<sup>3</sup>, ისე როგორც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში — სინას მთა, სინას ნახევარკუნძული და შუმერთა ქალაქი — ურა-ური, შეიძლება სამცხესა და კოლხეთში მთა ურთას სახელიც. დამთხვევაა ასურელთა მეჯოგეობის ღვთაების (ჯეგე მისარონის) ასურელი სალოცავი ადგილის „ჯეგეთასა“ და ურთის მთაზე არსებული სალოცავ ადგილის ჯეგეთას სახელთა შორის.

მთის სახელი „ურთა“ ემთხვევა მეგრულ ზმნა „ურთას“ ან დოურთას (ატრიალებ ან დავატრიალებ) ფორმას; აგრეთვე მეორე სიტყვასაც — „ურთგს“, რაც განუყოფელს ნიშნავს მეგრულში. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ ამ სახელწოდებით გეოგრაფიული სახელი „(ურთა) ცნობილია სამხრეთ საქართველოშიც — თურქეთის ახლანდელ ტერიტორიაზე, ერუშეთის სიახლოვეს — ტბა ჩილდირის (პალაკაციოს) სანაპიროზე და თვით ეგვიპტეში (ურა-ური), რაც შუამდინარეთში მთვარე ღვთაების („სინას“) ქალაქად იყო აღიარებული“<sup>4</sup>.

ეს ადგილები რუკაზე ჯვრითაა აღნიშნული, რაც მნიშვნელოვან სამლოცველოს არსებობაზე მიუთითებს. ამდენად სახელწოდება ურთა არ შეესაბამება მეგრულ ზმნა „ურთას“, არც, „ურთგს“ მნიშვნელობას და შორს დგას ა. ბოხუას შეხედულებისაგან იმიტაც კი, რომ მეგრული ურთა (ვატრიალებ, აწ დავატრიალებ) ზმნაა და საგნის სახელი ზმნით არ აღინიშნება. როგორც ვთქვით, ეს სახელი „ურა“ ანუ „ური“ მთვარე ღვთაების ქალაქს ნიშნავს შუმერულ ენაზე, რომელიც ქართველურ ენებში „თა“ სუფიქსითაა წარმოებული — ურ(ა)თა, რაც მთვარე ღვთაების სამყოფზე მიუთითებს. „ქართველურ“ ენებში „თა“ სუფიქსი მრავლობით ფორმასთან ერთად, ზოგიერთ გეოგრაფიულ სახელებში, საგვარეულოს მკვიდრ სამყოფს აღნიშნავს: მაგ. გოგოლაურთა, წინამძღვრიანთა, ცაბაურთა და სხვა<sup>5</sup>.

ურთა — მთვარე ღვთაების კერპის აღმოჩენა (იხ. გაზ. „მებრძოლი“, 1861 წ. № 11), ჩვენში შესაბამისი პერიოდის ლექს-სიმღერები

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, გვ. 60.  
 2 მდ. სინწა ჩაუდის ქ. ზუგდიდს აღმოსავლეთით.  
 3 ო „სინ“ დალე — ჩხოროწყუს რ-ნ დგას წმ. გიორგის ეკლესია.  
 4 ზ. კიკნაძე. „შუამდინარული მითოლოგია“, გვ. 35.  
 5 იხ. აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, მორფოლოგია, გვ. 18.



მთვარეზე და ისტორიული წყაროები ადასტურებენ წარმართულად არიოდში მთვარე ღვთაების სამლოცველოსა და კერპის ამ აღნიშვნას; აგრეთვე ისიც, რომ მთვარე ღვთაების უარყოფის შემდეგ (ქრისტიანობის შემოღების შემდეგ), უმეტეს ადგილებში მთვარე ღვთაების ადგილი დაიკავა წმინდა გიორგის სამლოცველოებმა; ეს მოვლენა თანხვედრილია ამ ადგილზეც, რომელსაც უწოდებენ ურთის ჯებე (წმ.) გიორგის. ეს მასალები გვაფიქრებინებს, რომ გეოგრაფიული სახელი ურთა (ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად) მთვარეღვთაების სამყოფს აღნიშნავდეს.

ასევე ცაიშ-ურთის მიდამოებში მზე-ღვთაების (მზე-დედა ღვთაების) კერპის აღმოჩენა აქ წარმართობის ხანაში მზე ღვთაების სამლოცველოს არსებობაზე მიუთითებს და ვფიქრობთ იდგა იქ, სადაც ამჟამად ცაიშის ღვთისმშობლის ეკლესია დგას ან მის ზემოუბანზე, რომელსაც ციონს ეძახიან. ამ საკითხზე ისტორიული წყაროების მიხედვით, სარწმუნო მოსაზრებები გამოთქვას მკვლევარებმა გ. პაჭკორიამ და ჯ. როგავამ, — ცაიში ცა ღვთაების სახელად მიიჩნეეს. ჩვენი აზრით, ციურ-ღვთაებათა შორის მთვარე ღვთაებად (მთვარესთან ერთად) მზე-ღვთაება ითვლებოდა; მისი კერპი აქ მდგარადა ამიტომ მიგვაჩნია რომ ცაიში (ცეში) ნიშნავდეს მზეღვთაებას ცისა.

როგორც ზემოთ ითქვა, სოფ. ცაიშის (მეგრ. ცეშის) გარდა ცე (ცეუ) ფუძიანი სახელით მრავალი სამლოცველო პუნქტია ზუგდიდისა და მის მიმდებარე რაიონებში. მაგალითად: ცგიონი (ურთის მთის კალთებზე), ცეცონა (უჩაშონაში — ახ. სოფელი), ცე ცეუნაკარი (მუჟავა — ფახულანის საზღვარზე — წალენჯიხის რ-ნი).

საფიქრებელი სწორედ ისაა, რომ ამ სახელით ცნობილ ადგილებში ყველგან თვალსაჩინოდ შეიმჩნევა ქვითკირის შენობათა ნანგრევები, რომლებიც ბოლო დრომდე ხალხის სალოცავ ადგილად იყო აღიარებული. ვფიქრობთ ასეთ ადგილებში შორეულ წარსულში მზეღვთაების სალოცავი უნდა ყოფილიყო.

ასე რომ გეოგრაფიული სახელები ცაიში (ცეში) და ურთა წარმართული პერიოდის მზე და მთვარე ღვთაების კულტთან დაკავშირებული სახელებია.

ურთის თხემზე მდებარე „ჯეგეთა“ აღრექრისტიანული პერიოდის სახელი უნდა იყოს, ვინაიდან ეს ტერმინი ჯერ (წმინდანი) ქრისტიანობის შემდეგ გვხვდება სიტყვიერებაში. ი. ყიფშიძე მას ასე გავვიმართავს: „ჯეგე“ (ჯგეგე) გეგე წმინდანს ნიშნავს; ე. ი. წმინდანის ბადალი სიტყვაა. ჯეგე გიორგი(წმ. გიორგი) ჯეგე მარიამი(წმ. მარიამი), ჯეგე ხანგარამი (წმ. ხანგარამი) (მეგრ. გრამ. 11,2). ჯეგე სიტყვა წმინდანის სინონიმია, ხოლო ჯეგე — თა სუფიქსით წარმოებულ გეოგრაფიულ სახელია, წმინდანთა სამყოფ ადგილს ნიშნავს. ეს სარწმუნოდ მიგვაჩნია

ამიტომ, რომ ამავე მთაზე (ურთაზე), ჯეგე გიორგის სალოცავის გარდა აღრიცხება საქონლის ღვთაების მისარონის (მეგრ. „მირსობის“) სალოცავები, რაც ჩვ. წელთაღრიცხვამდე მისარონად (მირსად) იწოდებოდა.

როგორც ცნობილია, საქონლის ღვთაება (მირსა) წარმართული ხანის ღვთაება იყო, რაც მტკიცედ შემოინახა ქრისტიანობამ. ამას აღსტურებს ქრისტიანული ეკლესიის ფასადებზე გამოსახული ორნამენტებით დამშვენებული ხარის თავები (იხ. სვეტიცხოველი, ბოლნისის სიონი, ნიკორწმინდა და სხვა).

ადრეული პერიოდის მასალებიდან აღსანიშნავია ძვ. წ. IV—I ჩვ. წ. საუკუნეებში მოჭრილი მონეტა — კოლხური თეთრი, რომლის ერთ პირზე კაცის სახეა გამოსახული, მეორეზე — ვერძის ან ხარისა, ახვევ ვერძისა და ხარის ქანდაკებანი, რომელიც ინახება ზუგდიდისა და გეგეჭკორის მუზეუმებში.

მისარონის (მეგრ. „მირსობის“) სალოცავები მრავალგან აღრიცხება. ვინაიდან ჯეგე (წმინდანი), ქრისტიანობის შემდეგი ტერმინია, ზედწოდებად დაერთო ადრეულ პერიოდში ცნობილ საქონლის ღვთაებას — მისარონს და იწოდა ჯეგე (წმ) მისარონად; ამავე დროიდან შეიქმნა (მთვარე ღვთაების ნაცვლად) ჯეგე წმ. გიორგის სალოცავიც და წმინდანთა სიმრავლისა გამო იწოდა „ჯეგე(თა)-დ, რაც დაერთო მთა ურთას ზედწოდებად. ჩანს, რომ იგი წმინდანთა სამყოფ ადგილს ნიშნავს. ამ სახელწოდებით, საქართველოს ფარგლებს გარეთაც — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში (კერძოდ ასურეთში) — ცნობილია მთა-მალლობი, ჯეგეთა (სამლოცველო მეჯოგეობის ღვთაებისა), ვფიქრობთ, იგი შეიძლება ქართული წარმოშობის სახელი იყოს, ვინაიდან წარმოებულა ქართველურ ენებისათვის დამახასიათებელი „თა“ სუფიქსით და უცვლელადაა შემორჩენილი ასურეთშიც.

ჰანის წყლის ხეობაში (სოფ. ობუჯში) ჩვენ მიერ ჩაწერილ ხალხურ ლექსში მეტად სანდო და გულდამაჯერებლობითაა გადმოცემული ცალკეული გეოგრაფიული სახელების ძირეული ფორმა და მნიშვნელობა; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს სახელები შეუბღალავადაა დაცული.

შემოთ აღნიშნული ლექსის ერთ-ერთ ნაწყვეტში ვკითხულობთ:

„იშა-აშო გიჯინექენი, დგარძღუუ შური-გური; ხეშქაგურშორო მოჩქე კვეშ(ი) ოხვამე, წენ დი ხური“...	„ირველივ რომ მიმოიხედავ, გაგიძღება სული-გული; ხელის შუაგულივით სჩანს ძველი საყდარი“ „წენ დი ხური“.
--	---


ჭითაგვალა, თუდო სქური  
ნაოხვამუ ობუჯური,  
თუდოლეშე შორც იძირე  
ურთა, თეკლათი დო ეკი,  
ჭიმოლეშე გვალას გვალა  
მუნორცხილ(ი) ეკი-ეკი...  
სქან(ი) წოხოლე სუკი გერე,  
შხვას მოხარცქაფილი,  
სუკო კოჩი ვენაყათა,  
ხეთე გიჩქე გაფლი,  
გინმიჯინე კანდიორო,  
სქვამას მოცუნაფილი,  
ჯვეში ჭაქვინჯური ჯიხა  
თელ(ი) ოდიშის ცქვაფილი...  
ქუაშ(ი) კიდა გინოქყვართ  
გახუტოლე სუკიში დუცუ  
ქარიატაშა ონჭენ ფერი  
შქაშას ყორშეფი აშაყუნცუ,  
თისე სქვამი ჭენიწყარი  
ლენტიშორო მოკოყუნცუ.

ჭითაგვალა, ქვევით სქურ  
ნასაყდრალი ობუჯური...  
ქვემო მხრიდან შორით მოჩანს  
თეკლათი, ეკი და ურთა;  
ზემოდ ერთურთს მისახსრული,  
გადაბმული მთაზედა მთა.  
სხვებისაგან მოწყვეტილი.  
შენს წინ აღმართულა სერი  
სერად კაცი ვერ ჩაადგებ,  
გგონია ხელით ნაგები,  
გადმოჰყურებს კანდიერად,  
ლამაზად ჩამონახები,  
ძველი ჭაქვინჯური ჯიხა  
ოდიშის მხარეს ნაქები...  
გაშოტილი ქვის კედელი  
სერის თავს შემოხვევია,  
ქარუწვდენი სიმალლისა,  
შიგ კოშკები ჩართულია  
მას ლამაზი „ჭენიწყარი“  
ლენტივით გაჰყოლია“.

აქ დასახელებული „წენდიხა“ (ამჟამად წალენჯიხად წოდებული მეგრულში გაბატონებული ფორმაა და ჭანის მიწას ნიშნავს, და არა ჯიხა-ციხეს (იხ. ი. ყიფშიძის შენიშვნები).

წენწყარი (იგივე ჭენწყარი) — ჭანისწყალს „წ“ და „ჭ“ თანხმოვნების მათი დამსგავსებას აქვს ადგილი. მაგ. ენგურის სანაპიროზე მცხოვრებნი წენდიხასა და წენწყარს ეძახიან, ხოლო ჭანისწყლის პირად მცხოვრებნი „ჭენწყარსა და წენდიხას“ (ზოგან ჭანდიხასაც). მისი (წენდიხას) დასავლეთით მიმდებარე უბანს, (ჯვარსა და წენდიხას შორის მდებარე უბანს), ოჭანე ჰქვია. ლექსში დასახელებული ჭაქვინჯი, წალენჯიხა — ობუჯის სამხრეთით მდებარეობს ჭანისწყლის სანაპიროზე. აქ დასახელებული გეოგრაფიული სახელი — ჭაქვინჯი სოფლის სახელია და ჭანების ფუძე-სამყოფელ ან ძირეულ ადგილს ნიშნავს და არა ქუჯის ციხეს, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია. ციხე აქ სოფლის სახელითაა ცნობილი — „ჭაქვინჯის ჯიხა“ მეგრულში „ქვინჯი“ ჰქვია ფუძეს, ფსკერს, ძირს და არა ქუჯის, არც „ჭაქვითს“. (იხ. „ქართლის ცხოვრება“ გვ. 778) შ. მესხიას მონოგრაფიები და ჭუმბურიძის „დედა ენა ქართული“).

ამ ვრცელ ტერიტორიაზე მდებარე ადგილების გეოგრაფიული სახელები — ოჭანე, წენდიხა, ჭენწყარი, ჭაქვინჯი და თვით აქაურ მაც-



ხოვრებელთა გვარი — ჭანია, უთითებს ამ უბანში ჭანებისა და ლაშქრის მებრეღელთა (ზანური ტომების) ფუძე ადგილის არსებობაზე. ამ ადგილის სახელი ნამდვილად „წენდიხაა“ (ჭანის მიწა) და არა წალენჯიხა; ასევე სოფლის სახელი ნამდვილად ჭაქვინჯია და არა ჭაქუჯი და არც ჭაქვითი. მსგავს შეცდომებს ვხვდებით ზოგ მკვლევართა მიერ გეოგრაფიული სახელების — ხობისა და გაშფერდის ეტიმოლოგიის მიმოხილვის დროსაც. ისინი სახელწოდებას — ხობს აიგივებენ მებრეღელ „ხოპ(ის) ნიჩაბთან. ვითომცდა ამ ადგილზე არგონავტებს „ხოპი“ — ნიჩაბი ჩავარდნიათო. ასეთი ფანტაზია არ გამოდგება ხობის ეტიმოლოგიისათვის. ჩვენი აზრით, სახელწოდება „ხოპი“ წარმოებულა მცენარის — ხობზის სიმრავლისაგან. ეს მცენარე ხობში ამჟამად შემორჩა მდინარე ხობის ზემო წელს და წარმოადგენს გარეული შქერის სახეობას (გამძლე ჯიშისაა და მისი წკნელისაგან დაწნული ღობე საუკუნეზე მეტს ძლებს. ძველად ნალიების ლასტი და კედლები მით კეთდებოდა). ვფიქრობ, რომ მისი სახელისაგან იყოს წარმოებული სახელწოდება მდინარისა — ხობი და დაბაც (ხობი) ისე, როგორც ბზისგან სახელწოდება მდინარისა ბზიბი და დაბაც; ისე როგორც ენგურის მარჯვენა შენაკადი „შქერალა“ (შქერის დეღე). მის ხეობაში მომრავლებული შქერის გამო. მსგავსი წარმოქმნისაა მის მეზობლად მდებარე ხევი — ხობანი. ხობზის სახელისაგან. ასევე შესწორებას მოითხოვს გეოგრაფიული სახელის „გაშფერდის“ შესახებ დღემდე არსებული მიმოხილვაც (ავტორი სანიკიძე). ავტორი „გაშფერდის“ უკავშირებს მცხეთა-არმაზის წარმართულ ღვთაებათა სახელებს — გაცისა და გაიმს. ასეთი სალოცავენის არსებობა აქ არ დასტურდება, არც ზეპირსიტყვიერებისა და არც არქეოლოგიური მასალებით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ „გაშ(ი) ფერდი წარმოქმნილი იყოს მებრეღელი სახელის — „გა-ს“ (ურმის ძარას) ფორმის მიხედვით. ვინაიდან ეს ადგილი მდ. ხობისა და ჭანისწყალის შეერთების ზემოწელზე, სადაც ეს უბანი მდებარეობს, ურმის ძარის (რამის) ფორმას ჰგავს რელიეფური მოყვანილობით.

ჩვენში სხვაგანაცაა ამ სახით წარმოებული საგეოგრაფო სახელები სარწმუნოდ მიაჩნია ი. ყიფშიძისშენიშვნა, რომ „გაშფერდი“ წარმოქმნილი იყოს შემოკლებულად „გაგაჩის ფერდისაგან (გაგაჩი მებრეღელში — ნიშნავს ქედს — ი. ე. ქედის კალთა (ფერდი), იხ. ი. ყიფშიძე, — მეგ. ენის გრამატიკა, გვ. 212).

როგორც ლექსშია აღნიშნული ჭითავგალას კალთაზე სამხრეთით მდებარეობს სქურის ხეობა — „ჭითავგალა ქვემოდ სქური ნასაყდრალი ობუჯური.“ აქ სქურის მინერალური წყლის არსებობის გამო ეწოდა ამ მიდამოს სქურის ხეობა. ახლა შესაძლებლად მიგვაჩნია დავუბრუნდეთ „ჭითავგალას“ დასავლეთით მდებარე ადგილს „წყავაშს“, „ზანდალაქსა“ და მის მსგავს საგეოგრაფიო სახელებს — ზანას



„ზან“ ფუძე ამ სახელებისა მიგვეითებეს ამ ადგილებში ზან-ლაზებისა და მეგრელების სამყოფ ადგილზე. (ამ საკითხებზე ველთაგანმა ნ. მარმა მიაქცია ყურადღება).

ასეთია ჩვენამდე მოღწეული ტრადიციული, ზეპირსიტყვიერების მასალები, რომლებიც ენობრივ მონაცემებთან ერთად, ნათელს ჰფენენ შორეული წარსულიდან მომდინარე საკითხებს.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე შ ი

### I. ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ლ ი რ ი კ ა

1. ბედინერ დო უბედურცუ — ბედნიერს და უბედურს.  
მთქმელი სპირიდონ კვარაცხელია<sup>1</sup>. ქ. ზუგდიდი, 1980.
2. შური დო ხორცი — სული და ხორცი.  
მთქმელმა სპირიდონ კვარაცხელიამ ამ ლექსის ავტორმთქმელად დაასახელა 1900-იან წლებში ცნობილი მელექსე და სახალხო მთქმელი პავლე აკობია. ზუგდიდი, 1980.
3. რინა — ყოფა.  
ავტორ-მთქმელი ბართლომე (ბრაქული) სართანია. ს. ცაიში, 1980.
4. დობღურუთუნი — როცა მოვკვდებით.  
მთქმელი დავით გუტას ძე აკობია. 1982.
5. გური დო ღურუუ — გული და სიკვდილი.  
ავტორ-მთქმელი სპირიდონ კვარაცხელია, ზუგდიდი, 1981.
6. სირჩენუე — სიბერე.  
მთქმელმა სპირიდონ კვარაცხელიამ ამ ლექსის ავტორმთქმელად დაასახელა 1900-იან წლებში ცნობილი მოლექსე იონა სართანია. ზუგდიდი, 1981.
7. ხარხიში გენია — ხალხის გენია.  
ავტორ-მთქმელი მართლომე სართანია. ზუგდიდი, 1980.
8. საქიანოთ გასაკვირი — საქვეყნოდ საკვირვ..  
მთქმელი სპირიდონ კვარაცხელია ამ ლექსის ავტორ-მთქმელად ასახელებს XIX საუკუნის 80-იან წლებში ცნობილ მელექსე პეტრე მეუნარგიას. ზუგდიდი, 1982.
9. წუთისოფელი.  
სპ. კვარაცხელიას სიტყვებითვე.
10. სირჩენუე — სიბერე.  
ავტორმთქმელი თამაზუბ დათას ძე მარღანია, სოფ. ოტობაია, გალის რ-ნი, 1980.

<sup>1</sup> ესა და აქვე წარმოდგენილი სხვა მასალები ჩაწერილია კალისტრატე კონსტანტინეს ძე სამუშიას მიერ.

11. სირჩენუვეში ლერსი — ლექსი სიბერეზე.  
მთქმელი გვანჯი კატუკია. გადმოგვცა მისმა შვილმა ბექან კატუ-  
კიამ. სოფ. ლია (წალენჯიხის რ-ნი), 1983.

## II. სატრფიალო ლირიკა

12. ჯღარუ თოლი — ცისფერი თვალი.  
გადმომცა მელიტონ გაბისონიამ და ამ ლექსის ავტორ-მთქმელად  
დაასახელა 1900-იან წლებში ცნობილი მელექსე (ცაიშვილი) გრი-  
გოლ თუთბერიძე. 1980 ქ. ზუგდიდი.
13. ცირა — ქალიშვილი.  
გადმომცა მელიტონ გაბისონიამ. მან ლექსის ავტორ-მთქმელად  
დაასახელა XX საუკუნის 20-იან წლებში ცნობილი მელექსე დანე  
(დანიელ) ფიფია. 1980, ზუგდიდი.
14. საცოროფო — სატრფიალო.  
უტუ მიქავას მიერ თქმული თამუნია ანჯაფარაძისადმი (სოფ. ფუ-  
ქიდან) ამჟამად სოფ მიქავა წალენჯიხის რ-ნი თქმულებით ერთ-  
ერთ დღესასწაულზე ეკ. ჭავჭავაძის სეფექალს თამუნია ანჯაფარი-  
ძეს ცხენი დაფეთებია. უტუ გამოდევნებია და თავის ცხენზე  
აუსვამს. იმ საღამოს თამუნიას თავის ნათესავის სახლში უტუს  
საპატივცემოდ ვახშამი გაუმართავს. აქ თამუნიას გიტარაზე შეუ-  
სრულებია ნიკ. ბარათაშვილის ლექსი „საყურე“, საპასუხოდ უტუ  
მიქავას ჩონგურზე დაუმღერია ზემოდასახელებული ლექსი, რა-  
საც მაღალი წოდების მხრიდან უკმაყოფილება გამოუწვევია.
15. ყოროფა — სიყვარული.  
მთქმელი დავით ჩუხუა. ქ. ზუგდიდი, 1981.
16. საცოროფო — სატრფიალო.  
ამოღებულია ბეგლარ აკობიას სასიმღერო რეპერტუარიდან. მინა-  
წერის მიხედვით, ეს ლექსი გამოთქმულია სოფ. კახათის მცხოვ-  
რებ გერა აკობიას მიერ დაახლოებით XIX—XX საუკუნის მიჯნა-  
ზე. ამის მაგვარი მეორე ლექსი—„საქებარი“—„ართი სიტყვათ ან-  
დამატი რექ, ვა გოსაჭირ სი ბრელი ცქვაფა“. მიუთითებს მინაწერი  
გამოთქმულია სენაკის, მცხოვრები ადამიას მიერ). ეს ლექსი გა-  
მოცემული აქვს შ. ბერიძეს. ამ ლექსის განსხვავებულ ვარიანტებს  
მივაკვლიე ზუგდიდის რაიონის სოფ. დარჩელში, რომელიც გან-  
სხვავდება ერთმანეთისაგან. ბერიძის ჩაწერილი უფრო, „ჩიქორ-  
თულია“, ვიდრე მეგრული. ზუგდიდური მთქმელის ლექსი კი ზუგ-  
დიდურ კილოზეა გადმოკეთებული. ამიტომ ამ ლექსს ვუწოდებ —  
„სენაკური ვარიანტი ზუგდიდელი მთქმელს გადმოცემით“, ლექსი  
„ფ“ ასომდეა ჩაწერილი. მთქმელმა ძიტო პეტრეს ძე ხუბუამ ეს  
ლექსი ბოლომდე ვერ გაიხსენა.


17. საცოროფო (ან ბანთ წყობაზე) — სატრფიალო.  
(სენაკური ვარიანტი ზუგდიდელი მთქმელის გადმოცემით). ჩაწე-  
რილია სოფ. დარჩელში. მთქმელი — ძიტო პეტრეს ძე ხუბუა.  
1982.
18. —სიუბედურა მუს მაწვალე?! — შე უბედურისავე, რას მაწვა-  
ლებ!  
მთქმელი სონია ივლონის ასული გოგოხია. სოფ. საბერიო, გალის  
რ-ნი. 1983.
19. ლერსი ცოროფაში — ლექსი სიყვარულზე  
ავტორმთქმელი კაკა ქვანია. გადმომცა ირაკლი კაკას ძე ქვანია.  
ქ. ზუგდიდი, 1983.
20. უჭყანე ცოროფა — უგულო სიყვარული.  
ავტორმთქმელი დავით ჩუხუა. 1980, ქ. ზუგდიდი.
21. შაირეფი — შაირები.  
მთქმელი ქიო (ქიონია) ქვანია. ქ. ზუგდიდი, 1980.
22. ცოროფა — სიყვარული.  
ავტორმთქმელი დ. ჩუხუა, 1980, ქ. ზუგდიდი.
23. კვარკვანტია — გოგმანა.  
ავტორმთქმელი ბართლომე სართანია, სოფ. ცაიში, 1980.
24. ქომონჯამი ოსურწყვამიანი ცოროფა — ქმრიანი ქალისადმი სი-  
ყვარული.  
ავტორმთქმელი ომში დაღუპული გიორგი ალექსანდრეს ძე ბერი-  
შვილი. გადმომცა კირილე ბერიშვილმა. სოფ. ღია, წალენჯიხის  
რ-ნი, 1983.
25. ბოშ(ი) დო ძღაბიში ნირზი — გოგოსა და ბიჭის პაექრობა.  
მთქმელი კირილე თოდუა, სოფ. რუზი, ზუგდიდის რაიონი, 1980.
26. დაჯვეშებული ცოროფა — ხნიერი სიყვარული.  
მთქმელი კაპიტონ წურწუშია, ქ. ზუგდიდი, 1980.
27. საცოროფო — სატრფიალო.  
ავტორმთქმელი ლუდუჯი ჯგერენაია. სოფ. თორსა ხობის რ-ნი,  
1982.
28. საცოროფო —სატრფიალო  
მთქმელი იგივე ჩამწ. 1982.
29. საცოროფო — სატრფიალო  
მთქმელი ლუდუჯი ჯგერენაია ამ ლექსის ავტორმთქმელად ასახე-  
ლებს ე. ბერაიას, 1982.
30. ცოროფაში გოშინა — სიყვარულის გახსენება.  
ახალგაზრდობის პერიოდის მოგონება ხანშიშესული ცოლ-ქმრის  
მიერ. მთქმელი სპირიდონ კვარაცხელია, ქ. ზუგდიდი, 1980.

31. სასოროფო — სატრფიალო  
მთქმელი იაკობ ქვაჩახია. გადმომცა თორნიკე ქვაჩახიამ სოფ. ოქუ-  
მი გალის რ-ნი 1982.
32. სქან(ი) ოსქვებური ვამათქუე! შენ შესაფერს ვერ გამოვთქვამ!  
მთქმელი ნიკოლოზ (კოლია) პლატონის ძე სამუშია. სოფ. ლიაპა-  
ლური (წალენჯიხის რ-ნი) 1983.
33. ძლაბიშ(ი) დო ბოშიში (ქალ-ვაჟის) ვალექსება.  
მთქმელი პავლე ბერაია, გადმომცა მისმა შვილმა ვარადი ბერაიამ.  
სოფ. დარჩელი (ზუგდიდის რ-ნი), 1980.
34. შეყელი — დუყი.  
ავტორმთქმელი სამამულო ომში დაღუპული გიორგი ალექსანდრეს  
ძე ბერიშვილი. გადმომცა კირილე ბერიშვილმა. სოფ. ლია (წალენ-  
ჯიხის რ-ნი), 1981.
35. სასოროფო — სატრფიალო.  
მთქმელი ლუდუყი ჯგერენაია; სოფ. თორსა, ხობის რ-ნი, 1982.
36. სეზონური სოროფა — ტრფიალი სეზონურად.  
ავტორმთქმელი აწგარდაცვლილი ჯოტო ქარცხია. მთქმელი ბაგ-  
რატ ქავთარაძე, ქ. ზუგდიდი.
37. სოროფა — ტრფიალი.  
მთქმელი ძიკი ხასაია, სოფ. მუყავა (ხუმათია) წალენჯიხის რ-ნი,  
1983
38. სქვამ(ი) ცირას! — ლამაზ ქალწულს!  
ავტორმთქმელი — 1900-იან წლებში განთქმული მელექსე ჯურუ  
შედანია. გადმომცა თათუშა გოშუამ, ქ. ზუგდიდი ჩამწ. კ. სამუ-  
შია № 1980.
39. უგრუგინეთ გურგინელი — უგვირგვინოდ დაგვირგვინებული.  
გადმომცა აწგარდაცვლილი — მელიტონ ვაბისონიამ; მისი გან-  
მარტებით ლექსი ჩაწერილია ადრეულ პერიოდში ცნობილი ზეპ.  
სიტყვიერების შემკრების — იოსებ ქობალიას მიერ.
40. ჩიტო, ქორშენო? — ჩიტო, გახსოვს?  
ავტორმთქმელი ბართლომე სართანია, სოფ. ცაიში, 1980.
41. სი ჩქიმი ჩე ტორონჯი! — შენ ჩემო თეთრო მტრედო!  
მთქმელი ნიკოლოზ (კოლია) თორდია, სოფ. კირცხელი, ზუგდიდის  
რ-ნი, 1984.
42. ბოში დო ცირაში სოროფა — გოგოსა და ბიჭის სიყვარული.  
მთქმელი იოსებ ზარანდია. გადმომცა ჯუგუ ზარანდიამ. სოფ.  
ჯიხაშკარი (ზუგდიდის რაიონი). 1980.
43. შვადოშვანერი ნოჭყვედი დო აკანაკვერა ლერსეფი —  
სხვადასხვა სახის ნაწყვეტი და მიკვლეული ლექსები. მთქმელი  
სონია ივლოს ასული გოგოხია, სოფ. საბერიო (გალის რ-ნი). 1983.

- 44. ბოშ(ი) დო ცირაში ლერსი — ვაჟისა და ქალიშვილის ლექსი (ქალვაჟიანის ვარიანტი). მთქმელი ნოე მიხას ძე ჯიქია, სოფ. ჭაქვინჯი, ზუგდიდი რ-ნი, 1985.
- 45. ცოროფაში ლერსი — ლექსი სიყვარულზე. მთქმელი იაკობ ქვაჩახია, გადმომცა თორნიკე ქვაჩახიამ. სოფ. ოქუმი (გალის რ-ნი), 1983.
- 46. საცოროფო სატრფიალო ავტორმთქმელი ჯურუ შედანია, გადმომცა მისმა დისშვილმა ნინა სვანიძემ, 1980.
- 47. მინუცას — ნინუცას. იმავე ავტორმთქმელისა.
- 48. დამიანე დო ზეზეფინა — დამიანე და ზეზეფინა. ეს ხალხური ნოველა მიმდ. საუკუნის პირველ ათეულ წლებში გაულექსავს ჯურუ შედანიას, 1980.
- 49. მიცორქედა, მიღირგქ! — თუ მიყვარხარ, მიღირხარ! ავტორმთქმელი მედენი შედანია. ამოღებულია მის ჩანაწერებიდან. 1983.
- 50. ცალფა ცოროფა — ცალმხრივი სიყვარული. ავტორმთქმელი აწგარდაცვლილი გვანჯი კატუკია. გადმომცა შვილმა ბეჟან კატუკიამ. სოფელი ლია, წალენჯიხის რ-ნი, 1984.
- 51. მორკული ცოროფილი — მაცდური მიჯნური. მთქმელი ლონგინო მიმინოშვილი.

III. სოციალური და კლასობრივი უსამართლობა

- 52. სესია — სესია  
შექმნილია სახალხო მთქმელის პავლე აკობიას მიერ 1909 წელს.
- 53. ნანა-სქუა! — ნანა-შვილო!  
ლექსი ხალხურია და ასახავს საბჭოთამდელ პერიოდის გლეხის უმწეო მდგომარეობას. მოარული იყო ოდიშ-სამურზაყანოში და სიმღერადაა გასული. მისი საუკეთესო შემსრულებელი იყვნენ ბეგლარ და ქიონია აკობიები.  
ლექსი ამოღებულია ბეგლარ აკობიას სასიმღერო რეპერტუარიდან.
- 54. ცენდერიში შარას — ციმბირის გზაზე.  
1905 წლის რევოლუციის მონაწილეთა, ციმბირში გადასახლებულთა, ეტაპით გადაყვანის დროს თქმულია პავლე აკობიას მიერ. ამოღებულია ბეგლარ აკობიას სასიმღერო რეპერტუარიდან.



- 55. ჩხუბიში ლერსი (ვარიანტი) — ლექსი ომზე.  
მთქმელმა ვახტანგ დარასელიამ ამ ლექსის ავტორმთქმელად დასახელა სოფ. ურთაში მცხოვრები (1914 წლის ომის მონაწილე, სოლომონ დიდიშვილი). ერთი ნაწილი ამ ლექსისა წინა კრებულშიც გამოვქვეყნეთ. აქ ვაქვეყნებთ სრულ ტექსტს. ს. ურთა, 1980.
- 56. 1914 წანაში ღვმა — 1914 წლის ომი.  
ავტორმთქმელი თურქეთის ომის მონაწილე ლიპარ წითლიძე, სოფ. ორსანტიიდან. მთქმელი მატრო გორდულავა, ხუდონიდან ქ. ზუგდიდს ჩამოსახლებული, 1980.
- 57. ბათიაშა ლერსი — ლექსი ბათიაზე.  
მთქმელი ძიკი ხასაია, სოფ. მუყავა წალენჯიხის რ-ნი, 1983.
- 58. უბადო ტაროზობაში ჭყიში — მწყემსი ავ ამინდში.  
მთქმელი ალექსანდრე ბერულავა (98 წლისა) სოფ. კახათი, 1983.
- 59. ჰაი, შური საყვარელი! — ჰოი, სულო საყვარელო!  
ეს ლექსი 1980 წელს გადმომცა მელიტონ გაბისონიამ. ავტორმთქმელია იოსებ ქობალია.

IV. თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ლ ე ქ ს ე ბ ი

- 60. კოლექტივიზაცია — კოლექტივიზაცია.  
მთქმელი კარლო მესხია, ქ. ზუგდიდი, 1980.
- 61. მინდორიში დედფალი — მინდვრის დედოფალი.  
ავტორმთქმელი ლუდუკი ჯგერენაია. 1983 ს. თორსა, ხობის რ-ნი.
- 62. ოფურაშე — ქურა.  
ავტორმთქმელი გასაბჭოების პირველ ათეულ წლებში ცნობილი მომღერალი და მელექსე დათიკო ფაცაცია. სოფ. ხაბუმიდან (ჩხოროწყუს რ-ნი). ეს ლექსი მას წაუკითხავს 1930 წელს ზუგდიდში გამართულ ოლიმპიადაზე. 1985.
- 63. მალეგარიში ნაჭარა — მებრძოლის წერილი.  
ავტორმთქმელი მეორე სამამულო ომის ვეტერანი გერმანე მესხია, მზიური (გალის რ-ნი) 1982.
- 64. ქამჩა — ქაფჩა.  
ავტორმთქმელი შალვა მეუნარგია. ქ. ზუგდიდი, 1985.
- 65. დავა ონარიის ეწეროვანი მიწის თაობაზე.  
ავტორმთქმელი აწგანსვენებული ამბროსი დიდიშვილი, სოფ. ურთა ზუგდიდის რ-ნი, 1980.

66. ნალმა — ნალმა  
მთქმელი აწგანსვენებული კიწი გეგეჭკორი (ცნობილი მომღერალი და ლოტბარი. ს. ნაცატუუ, ზუგდიდის რ-ნი, 1980).

VI. საწესჩვეულებო ლექსები

67. ახალ წანაში მიოხვამური — ახალი წლის მისალოცი.  
მთქმელი ბაგრატი სართანია, ქ. ზუგდიდი, 1981.
68. მადშალია დო ბაკაკიში ლერსი — ლექსი ბულბულსა და ბაკაკზე.  
ავტორმთქმელი აწგანსვენებული ბართლომე სართანია, სოფ. ცაიში, ზუგდიდის რ-ნი, 1980.
69. ინორჩენელი ბოშკათეფიში ლერსი — ლექსი შინაბერა ვაჟკაცებზე.  
მთქმელი ძიკი ხასაია, სოფ. მუჟავა, წალენჯიხის რ-ნი. 1984.
70. ინორჩენელი ძღაბეფიში ლერსი — ლექსი შინაბერა ქალებზე.  
მთქმელი ძიტო პეტრეს ძე ხუბუა სოფ. დარჩელი, ზუგდიდის რ-ნი, 1984.
71. ორსანტიელი მელექსეთა პაექრობა —  
მთქმელები ბაგრატ გელენავა და პერეკი მორგოშია, სოფ. ორსანტია, ზუგდიდის რ-ნი, გადმომცა სევერიანე გელენავამ, 1984.
72. თუთეფიში ლერსი — ლექსი თვეებზე.  
მთქმელი პეტრე ხუბუა, გადმომცა მისმა შვილმა ძიტო ხუბუამ. სოფ. დარჩელი, ზუგდიდის რ-ნი. 1982.
73. ნადირუა — ნადირობა.  
ავტორმთქმელი ქიბარ ძაძამია, წალენჯიხის რ-ნი. გადმომცა შვილმა ვალაქტიონ ძაძამიამ, სოფ. ორჯონიკიძე. 1980.
74. ბაღანა ბოშიში ოხვამალი — ჩვილი ბიჭის დალოცვა.  
ავტორმთქმელი აწგანსვენებული ჯოტო ქარცხია მთქმელი ბაგრატ ქავთარაძე, ქ. ზუგდიდი, 1980.
75. ძღაბ(ი) დო ბოშ(ი) შქას მოხვალამირი უბადო ამბეში ლერსი —  
ლექსი ბიჭსა და გოგოს შორის მომხდარი აუცი საქმის თაობაზე.  
მთქმელი ვარადი პავლეს ძე ბერაია, სოფ. დარჩელი, ზუგდიდის რ-ნი, 1982.
76. ლებარდე (ავარაკი) — ლებარდე.  
ავტორმთქმელი პეტრე ხუბუა, სოფ. დარჩელი, ზუგდიდის რ-ნი, გადმომცა შვილმა ძიტო ხუბუამ, 1983.
77. სამარგალოში ლაკადა — სამეგრელოს გორაკიანი მხარე.  
მთქმელი მოკონა ჭანტურია.



78. სქვერეფიში გაჭირება — შვლების გასაჭირი.  
ავტორმთქმელი აწგანსვენებული აქვსენტი აფხაზავა. მთქმელი  
შალვა მეუნარგია, ქ. ზუგდიდი, 1985.
79. დოზოკული — რჩევა-დარიგება.  
მთქმელი ჯოტო ქარცხია, 1982.

VII. გამოცანები და სენტენციები

80. გამოცანები  
ე-მუ-ორე, -მუ-ორე?! — ეს რა არის, რა არის?  
(1-დან 18-ის ჩათვლით) მთქმელები „ლუდუკო ჯგერენაია (სოფ.  
თორსა, ხობის რ-ნი), იასონ მაქსიმეს ძე სოსელია (ქ. ზუგდიდი),  
დავით ჩუხუა (ქ. ზუგდიდი), შილა ლაგვილავა (სოფ. კორცხელი,  
ზუგდიდის რ-ნი), სპირიდონ შონია (ქ. ზუგდიდი), პლატონ ქირია  
ქ. ზუგდიდი), და თომა ფარნას ძე მიქავა, სოფ. ტყავია, ზუგდი-  
დის რ-ნი.
81. სენტენციები.  
(1-დან 35-ის ჩათვლით) მთქმელი შოთა მიხეილის ძე კანკია. სოფ.  
ლია, წალენჯიხის რ-ნი. 1983.

VIII. კოლხეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი  
ზეპირსიტყვიერებაში

შენიშვნები



შ ი ნ ა რ ს ი

არის წინასიტყვაობა	3
„ი“	6
ლოსოფიური ლირიკა	8
ატრფიალო ლირიკა	17
სოციალური და კლასობრივი უსამართლობა	74
V. თანამედროვე ლექსები	83
V. ისტორიული პოემა	91
VI. საწესჩვეულებო ლექსები	103
VII. გამოცანები და სენტენციები	119
VIII. კოლხეთის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი ზეპირსიტყვიერებაში	124
შენიშვნები	145

Калистрат Константинович Самушиа

ГРУЗИНСКОЕ УСТНОЕ ТВОРЧЕСТВО

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ  
«МЕЦНИЕРЕБА»  
1990

დაიბეჭდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4382

გამომცემლობის რედაქტორი ე. კოღუა  
მხატვარი მ. თავაძე  
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე  
ტექნიკური რედაქტორი ელ. ბოკერია  
გამომშვები ელ. მაისურაძე  
კორექტორი ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 5.7.1990; ხელმოწერილია დასაბეჭდად 28.11.1990;  
ქალაქის ზომა 60X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>; ქალაქი № 2;  
გარნიტურა ვენური 16; პირობით საბეჭდი თაბახი 9.5;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.29 თ;  
ტირაჟი 15000; შეკვეთა 1801;

ფასი 3 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19  
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19  
Типография АН Грузии, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

710/3



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՊԱՐԼԱՄԵՆՏԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

ՀՀ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ ՊԱՐԼԱՄԵՆՏԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ  
ԿՈՒՆԿԵՐՈՒՄ ԵՎ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ



ՈՒՆՈՒՄՆԵՐԻ  
ՆԱՅՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ